1977 წ. გელათი, სამონასტრო ანსამბლი, გუმბათიანი ეკლესია “წმინდა გიორგი”
მე-13 ს. მოხატულობა მე-16, 17 სს. სარესტავრაციო და სამეცნიერო სამუშაოები.

ზერმო კრიხი, მიდმოები, მთვარანგელოზის ეკლესია მე-10 და მე-11 სს.

მოხატულობა მე-11-12 სს. დაფხვიერებული ფერწერის ფენის გამაგრება. სლებისა
და კალკების შესრულება, სამეცნიერო ანგარიში.

1978 წ. ფარის სვიფი (მესტიის რაიონი, ფარის თემი) წმ. გიორგის ეკლესია მე-10
ს. მოხატულობა მე-10 – მე-14სს. დეფორმირებული კამარის აღდგენა.

1979 წ. აჭი, წმინდა გიორგის ეკლესია, შუასაუკუნეები მოხატულობა მე-13 ს.
დაფხვიერებული ფენის გაუდენტვა და გამაგრება სპეციალური ხსნარებით,
მხატვრობის გაწმენდა-გამაგრება.

ატენი, მიდამოები, ეკლესია “ნათლიმცემელი”, განვითარებული
შუასაუკუნეები, მხატვრობა მე-12- მე-13 სს., სამეცნიერო ანგარიში.

ატენი, მიდამოები, ეკლესია “კვირაცხოველი”, შუასაუკუნეები, მხატვრობა მე-
16ს. რესტავრაცია, კვლევა, ფოტოფიქსაცია.

1980 წ. ლალამი (მესტიის რაიონი, მესტიის თემი) ეკლესია “მაცხვარ” მე-10 – მე-
13 სს. მხატვრობა მე-10 – მე-13 სს. გამოკვლევა და სარესტავრაციო სამუშაოები,

ფასადური მხატვრობის “წმ. ესტატეს სასწაულისა” და “ადამისა და ევას ჯოჯოხეთიდან განდევნის” ასლი-რეკონსტრუქციები, ეკონოგრაფიული სქემები მ-1:25 და ფოტოფიქსაცია.

ბეთანია კვესეთი, მხატვრობა მე-13 ს. სარესტავრაციო და სამეცნიერო სამუშაოები, ფოტოფიქსაცია.

1981 წ. ლაშხვერი, (მესტიის რაიონი ლანჯერის თემი) ეკლესია “თარინგზელ” მე-10 ს. მხატვრობა მე-14 – მე-53 სს. ფრესკების გაწმენდა ჭვარტლისა და იამჩუგისაგან, სამეცნიერო და გრაფიკული სამუშაოები.

ლაშხვერი, ეკლესია “მხერ” მე-10 ს. მხატვრობა მე-14 ს. მხატვრობის გაწმენდა ჭვარტლისა და ობისაგან.

1982 წ. ლახუმი (მესტიის რაიონი, ლატალის თემი) ეკლესია “თანლილ” მე-13 ს. მხატვრობა მე-14 ს. სარესტავრაციო და სამეცნიერო სამუშაოები.

ნესგუნი მესტიის რაიონი, ლატალის თემი) ეკლესია “მაცხვარ” მე-11 – მე 12 სს. მხატვრობის გაწმენდა მჭვარტლისა და გამომარილებისაგან.

1983 წ. ადიში 9მესტიის რაიონი, ადიშის თემი) წმ. გიორგის ეკლესია მე-10 ს. მხატვრობა მე-13ს. ინტერიერისა და ფასადური მხატვრობის გაწმენდა და გამაგრება. ჩრდილოეთის ფასადის წმ. მხედრების ასლი.

1984 წ. დუშეთი წმ. გიორგის ეკლესია მე-9 ს. მხატვრობა მე-14 – მე-17 სს.

კედლის მხატვრობის გახსნა და გამოვლინება გვიანდელი ბათქაშისა ან კირით შებათქაშების ქვეშ. სარესტავრაციო სამუშაოები. არმოსავლეთ სარკმლის ჩრდილო გვერდის მხატვრობის წმ. ლავრენტის ფრესკის მოხსნა.

ჩეაბიანი (მესტიის რაიონი, მუჟალის თემი) ეკლესია “მაცხვარ”

IX ს. მხატვრობა XI ს გაწმენდა ფრესკებისა მჭვარტლისა და გამომარილებისაგან. საკურთხევლის კონქისა და სატრიუმფო თაღის კომპოზიციების ასლი- რეკონსტრუქციები და ასლები.

ცალდან/ მესტიის რაიონი, მუჟალის თემი/ ეკლესია „ ქირსდე” IX ს.

მხატვრობა XII ს. არქიტექტურული რეკონსტრუქცია , დანგრეული კედლების აღდგენა და ეკლესიის გადახურვა თუნუქის სახურავით .

მხატვრობის გაწმენდა –გამაგრება, იკონოგრაფიული სქემები და ფოტოფიქსაცია.

1985წ – მოქვი/ ოჩამჩირის რაიონი / გუმბათიანი ეკლესია Xს.

განახლებული XIX საუკუნეში. წინა წელს დაწყებული

სარესტავრაციო სამუშაოების დამთავრება. არქიტექტურული ნახაზები, იკონოგრაფიული სქემები. კედლის მხატვრობის გახსნა კირის შეთეთრების ქვეშ. ფოტოფიქსაცია.

1986 წ- სეფიეთი/ აბაშის რაიონი / ეკლესია ბაზილიკური, ადრე შუასაუკუნეები, გადაკეთებული XVI-XVIII სს. „ მთეაეარანგელოზი“ სარესტავრაციო და სამეცნიერო სამუშაოები, ფოტოფიქსაცია. იკონოგრაფიული სქემები მ – 1:25.

1988 წ- იკვი, / ჩაჩუბეთი, მიდამოები – კასპის რაიონი/ გუმბათიანი ეკლესია, XI ს, მოხატულობა XI ს-სა, წმ. გიორგის სახელობისა. სარესტავრაციო და სამეცნიერო სამუშაოები, ფოტოფიქსაცია. ეკლესიის დროებით გადახურვა.

იკონოგრაფიული სქემები მ –1:25.

ოელოვანი/ მცხეთის რაიონი, ქსოვრისი, მიდამოები/ეკლესია „ ჯვარპატიოსანი“ VIII-IX , მოხატულობა IXს. კედლის მხატვრობა გახსნა გვიანდელი ბათქაშის ქვეშ. ამოკრეფა, გაწმენდა და ფერისკანის გამაგრება.

1996 წ. ბუჩაანი, დუშეთის რაიონი, „ მზეწვერის წმინდა გიორგი “ VIIს. კედლის მხატვრობა გამაგრება. ნაგებობისა და კედლის მხატვრობის ანაზომი. სარესტავრაციო , სამეცნიერო და ფოტოსამუშაოები.

ფერწერული ხატები. გამოკვლევა, გრაფიკული და ფოტოდოკუმენტაცია, რეკონსტრუქცია.

1978-1989 წლებში ჩვენს მიერ გამოკვლეულია, გაწმენდილია და რესტავრირებულია რამდენიმე ათეული ფერწერული დაჭედური ხატი სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის საგანძურიდან, ეკლესიებიდან. აქ მხოლოდ რამდენიმე მათგანს შევხებით.

1. ფერწერული ხატი მთავარანგელოზებისა XIV ს. 131X71, სმ, ჩარჩოს სიგანე 12 სმ. ეს ხატი საინტერესოა იკონოგრაფიულად, მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების გარდა აქ ხატის ჩარჩოზე და ნაწილობრივ ფონზე საიდუმლო სერობაა წარმოდგენილი. ჩარჩოს ზედა არშიაზე ღვთისმშობელი და იოანე ნათლისმცემელია გამოსახული ვედრების პოზაში, მათ ქვევით რამდენიმე წმინდანია გამოსახული.

სარესტავრაციო სამუშაოები , ზედაპირული ჭუჭყის მოცილება, ნაკლები ადგილების შევსება ლეკვასის ფენაში და შემდეგ მათი ნეიტრალური ტონით დაფერვა. ამოკრეფა, ძველი ლაკის მოცილება. დეზინფექცია, ხატის დაფარვა ახალი ლაკით, დეზინფექცია. იკონოგრაფიული სქემის შედგენა, ფოტოფიქსაცია.

ნეგატივი 6X9 12 ცალი

ანაბეჭდი 13X 18 36 ცალი

სლაიდები.

2. ფერწერული ხატი „ ორმოც მოწამეთა” მესტიის ისტორიული ეთნოგრაფიული მუზეუმისა თავდაპირველად ლატალის თემის იფხის წმ.გიორგის ეკლესიაში ინახებოდა. შესრულებული უნდა იყოს რომელიმე ცენტრალურ სახელოსნოში XI ს-ში.

ზომები 68X53 სმ, საინვენტარო № 462. დაზიანებები, „ლეკასის“
დახეთქვა, ტილოს „პაულოკის“ მოცილება დაფიდან
დაფუტურობული დაფის გაწმენდა, დეზინფექცია და გაუღენტვა
სპეციალური ხსნარით და შემდეგ მისი დაფარვა მასტიკით, რომელის
ასე მზადდება:

ცვილი 2 წილი

პინენი 1 წილი

დამარის ფისი 1 წილი

წასმის წინ ამ ხსნარს ემატება სკიპიდარი.

ნაკლული ადგილების შეესება და ტონირება.

იკონოგრაფიული სქემები და ფოტოდოკუმენტაცია.

ნეგატივი : 6X9 18 ცალი

ანაბეჭდი : 13X18 54 ცალი

მიკრო და მაკრო ფოტოგადაღებები და სლაიდები.

სემინარებში და გამოფენებში მონაწილეობა:

- 1996 წ. თურქეთში (ისტ. ტაო-კლარჯეთში) მოწყობილ ექსპედიციების ქართული ძეგლების ანაზომების გამოფენა. ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი. თბილისი.
- 1997 წ. ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა. ფრანკფურტი. გერმანია.
- 1998 წ. სემინარი კულტურული მემკვიდრეობის აღნუსხვა დიდ ბრიტანეთში. ლონდონი. დიდი ბრიტანეთი.
- 1999 წ. სემინარი – „მარკეტინგი და პრომოცია საგამომცემლო საქმეში“, გუდაური, საქართველო.
- 2000 წ. სემინარი – „საგამომცემლო საქმე“, ლიკანი, საქართველო.
- 2006 წ. პერსონალური ფოტოგამოფენა – „კაპადოკია“. ი. ჭაქვაძის სახ. პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.
- 2008 წ. ფოტოგამოფენა „საბერძნეთი საბერძნეთს მიღმა“. ბაია გალერეა.

ძირითადი პუბლიკაციები:

- 1. „მეცნიერება და ტექნიკა“ 1982, №3. „რკონის ხუროთმოძღვრული კომპლექსი“.
- 2. „დარბაზი“ №2. „გზად ბეთლემისკენ“
- 3. „ძეგლის მეგობარი“ 1991, №1. „ზაქაგორის ხუროთმოძღვრული კომპლექსი“
- 4. „მაცნე“, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 1991, №4. ნ.ბახტაძესთან ერთად. „კონდამიანის უდაბნო-მონასტრის შესწავლისათვის“.
- 5. „ძეგლის მეგობარი“ 1992, №1. „აკვედუკი ანუ ბელდარი „ქვახიდა“ სოფ. ხოვლედან“.
- 6. 1992 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენციის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. „თაეკავთას წმ. გიორგის სამონასტრო კომპლექსის შესწავლისათვის“.
- 7. „ძეგლის მეგობარი“ 1993, №1. „ეკლესია სოფელ აზმანაში“.
- 8. 1995 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენციის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. „თაეკავთას წმ. გიორგის ეკლესიის ორნამენტული დეკორი“.
- 9. „ძეგლის მეგობარი“ 1996, № 1/92, 2/93. „მოგზაურობა თურქეთში“.
- 10. სტატიები ენციკლოპედია „საქართველო“ -სთვის.
- 11. სტატიები – „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა“ ტომი 5; 1990 წ.
- 12. სტატიები – „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა“ ტომი 2; 2004 წ.
- 13. ტურისტულ რუკა – „საქართველო – ძეგლები და ტურისტული მარშრუტები“; 2003 წ.
- 14. კომპაქტ-დისკი (ქართულ და ინგლისურ ენაზე) – „აღმოსავლეთ საქართველოს ტურისტული რესურსების გეოინფორმაციული სისტემა“; 2006 წ.

15. წიგნი „ნეკრესი – ცნობარი მომლოცველთა და მოგზაურთათვის“
(თანაავტორი); 2010 წ.

საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ.: (+995 32) 33-42-33, 36-45-90,

899-57-52-64 (მობ.), 851-57-52-64 (მობ.)

ელ-ფოსტა: გ-ბაგრატიონი ყაჭოლ.ჯომ

CURRICULUM VITAE

ბიორბი ბაბრატიონი

დაბადების ადგილი და თარიღი: ქ. თბილისი 1962 წ. 19 ივლისი

ეროვნება: ქართველი

მისამართი ქ. თბილისი. ს. ჩიქოვანის ქ. №20 ბ.49

ბანათლება: 1969-1979 წწ. ქ. თბილისის №53-ე საშ. სკოლა

1979-1984 წწ. სპი არქიტექტურის ფაკ-ტი არქიტექტორის სპეციალობით.

1980-1983 წწ. სპი მეორადი ფაკ-ტი. ექსკურსიამდლოლისა და ტურიზმის ორგანიზატორის სპეციალობით.

1989-1992 წწ. გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტი.

ენების ცოდნა

რუსული – ძალიან კარგად

ინგლისური – კარგად

ძირითადი საქმიანობა: გამომცემლობა „ნეკერი“. დიზაინერ-დამკაბადონებელი, მენეჯერი.

კავშირი – „სუნტნი“ – აქტიური ტურიზმის განვითარების ხელშემწყობი ჯგუფის თავმჯდომარე;

კვალიფიკაციური მოღვაწეობა: 1993-1996 წწ. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ.

სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე „მსოფლიო ხელოვნების ისტორიის“ კურსი

1994-1996 წწ. სასულიერო აკადემიაში „არქიტექტურა და რესტავრაციის შესავალი“.

მუშაობის გამოცდილება: 1984-1988 წწ. „თბილქალაქპროექტის“ არქიტექტორი.

1983-1989 წწ. ჯანაშიას სახ. ისტორიის მუზეუმში, სპელეისტიკის განყოფილებაში არქიტექტორად.

1986-1997 წწ. ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს ადაპტაციის განყოფილებაში არქიტექტორად.

1988-2007 წწ. გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ძეგლთა აღნუსხვის განყოფილების თანამშრომელი.

1997-1998 წწ. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ფონდი. მთავარი სპეციალისტი.

1992-2010 წწ. გამომცემლობა „ნეკერი“, დიზაინერი, მენეჯერი.

1997-2010 წწ. გამომცემლობა „დიოგენე“, დიზაინერი.

2004-2006 წ. პროექტი „აღმოსავლეთ საქართველოს ტურისტული რესურსების გეოინფორმაციული სისტემა“, დირექტორი.

2008წ. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, მთავარი სპეციალისტი.

2009-2010 წ. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საგამომცემლო საქმიანობის დეპარტამენტი, გამომცემლობის მთავარი მენეჯერი.

პროფესიული მოღვაწეობა: 1983-1986 წწ. ქცია-ხრამის სპელეისტიკურ ექსპედიციაში რეგიონის ძეგლების ანაზომები

1985-1987 წწ. დავით გარეჯას „ნათლისმცემლის“ კომპლექსის აზომვა.

1987 წწ. „კონდამიანის“ კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსის აზომვა.

1987 წწ. კასპის რაიონის კლდეში ნაკვეთი ძეგლების აზომვა.

1986-1988 წწ. სპორტსკოლა ღრმაღელეში. მუშა პროექტი.

1986-1987 წწ. ქ.საჩხერე. პაპუნა წერწოდის სასახლის რესტავრაცია- ადაპტაციის მუშა პროექტი.

1988 წ. ქ. საჩხერე. საბჭოს (წმ. ნინოს) ქ. № 76, 78/80 და 84 საცხ. სახლების რესტავრაცია-ადაპტაციის მუშა პროექტი.

1988-1989 წწ. ყაზბეგის რ-ნის ძეგლთა აღნუსხვა და ფიქსაცია ძეგლთა ნუსხის II ტომისათვის.

1989-1990 წწ. დუშეთის რ-ნის ძეგლთა აღნუსხვა და ფიქსაცია ძეგლთა ნუსხის II ტომისათვის.

1989-1990 წწ. თავკავთის კომპლექსის აზომვა-ფიქსაცია.

1989-1990 წ. დავით გარეჯას „დოდოს“ კომპლექსის აზომვა.

1990 წ. ქ. საჩხერე. საბჭოს (წმ. ნინოს) საცხ. შეხლების რესტავრაცია- ადაპტაციის მუშა პროექტები.

1990 წ. სოფ. სასირეთი. გიორგი მაზნიაშვილის სახლის რესტავრაცია- ადაპტაციის მუშა პროექტი.

1990-1991 წწ. თიანეთის რ-ნის ძეგლთა აღნუსხვა და ფიქსაცია ძეგლთა ნუსხის II ტომისათვის.

1990-1991 წწ. ლაგოდეხის რ-ნის ძეგლთა აღნუსხვა და ფიქსაცია ძეგლთა ნუსხის III ტომისათვის.

1991 წ. მიწისძვრის შემდგომი სურათის დასადგენად ონისა და ამბროლაურის ძეგლების აღნუსხვა და ფიქსაცია.

1992 წ. ქ. თბილისი. შავთელის ქ. №22. საცხ. სახლის არქიტექტურულ- არქეოლოგიური ანაზომი.

1992 წ. ქ. თბილისი. მაცაშვილის ქ. №10. საცხ. სახლის კარფანჯრების გისოსების მუშა პროექტი.

1992 წ. სოფ. მეჯვრისხევი. ლუარსაბ ერისთავის სასახლის არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომი.

1992 წ. ჯაეახეთის ზეგანის ძეგლების აღნუსხვა-ფიქსაცია.

1993 წ. ქვემო ქართლის რეგიონის ძეგლების აღნუსხვა-ფიქსაცია.

1993-1997 წწ. ქართული კომპიუტერული შრიფტების შექმნა.

1994 წ. გ. ჩუბინაშვილის ფონდის მიერ თურქეთში (ისტ. ტაო-კლარჯეთში)

- მოწყობილ ექსპედიციაში ქართული ძეგლების ანაზომები.
- 1995 წ. გ. ჩუბინაშვილის ფონდის მიერ თურქეთში (ისტ. ტაო-კლარჯეთში)
- მოწყობილ II ექსპედიციაში ქართული ძეგლების ანაზომები.
- 1995 წ. სოფ. მეჯვრისხევი. ერისთავების სასახლის რესტავრაცია-ადაპტაციის პროექტი.
- 1995-1996 წწ. ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს გულის ქირურგიის განყოფილების ინტერიერის პროექტი.
- 1996 წ. ტაო-კლარჯეთში 1994-1995 წლებში მოწყობილი ექსპედიციების გრაფიკული მასალის ექსპოზიცია თანამედროვე ხელოვნების ცენტრში.
- 1996 წ. ჯაფარიძეების მემორიალის პროექტი ვერეს ბაღში.
- 1996 წ. ყაზბეგის, დუშეთის, ახმეტის და თიანეთის რ-ბის ისტორიულ არქიტექტურული რუკების შედგენა კომპიუტერზე.
- 1996 წ. საქართველოს ფიზიკური და რეგიონალური რუკების, ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების გეგმების შეყვანა-დამუშავება სამეცნიერო კომპიუტერული პროგრამისთვის კომპაქტ დისკზე
- „საქართველოს არქიტექტურა“.
- 1996-1997 წწ. „ფილიპსის“ ცენტრის პროექტი ბარათაშვილის ქ-ზე.
- 1996-1997 წწ. სუპერმარკეტის პროექტი თავისუფლების მოედანზე.
- 2002 წ. დიუმას ქუჩის სამი საცხოვრებელი სახლის ანაზომთა პროექტი.
- 2004 წ. მარიონეტების თეატრის ანაზომები და განახლების (სასტუმრო + თეატრი) პროექტი
- 2005 წ. დაზვერვითი ექსპედიცია ისტორიულ ტაო-კლარჯეთში (თურქეთი). ოლთისის და ფოცხოვის მხარე.
- 2004-2006 წწ. სამეცნიერო-კვლევითი ექსპედიციები (არქიტექტურის და ბუნების ძეგლთა აღწერა, ფოტოფიქსაცია და ზუსტი გეოკოორდი-ნატების დადგენა) პროექტისთვის „აღმოსავლეთ საქართველოს ტურისტული რესურსების გეოინფორმაციული სისტემა“:
1. დმანისის რაიონი
 2. ყაზბეგის რაიონი
 3. ხევსურეთი
 4. ფშავი და ზედა მთიულეთი
 5. თუშეთი
 6. თემის ხეობა
 7. წალკის რაიონი
 8. ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონები
 9. ქვემო მთიულეთი
 10. ქსნის ხეობა
 11. თიანეთის რაიონი
 12. ახმეტის რაიონი
 13. თელავის რაიონი
 14. გურჯაანის რაიონი
 15. დედოფლისწყაროს და სიღნაღის რაიონები
 16. დავით-გარეჯა
 17. მცხეთის რაიონი
 18. კასპის რაიონი
 19. ხაშურის რაიონი

20. ქარელის რაიონი
21. გორის რაიონი
22. თეთრიწყაროს რაიონი
23. ბოლნისის რაიონი
24. მარნეულის და გარდაბნის რაიონები
25. თბილისი და თბილისის მიდამოები

- 2007 წ. „ტაო-კლარჯეთის ვირტუალური მუზეუმი“ – სამეცნიერო ექსპედიცია და ვებ-გვერდის მომზადება (უნესკო-ს პროექტი).
- 2007 წ. ქვემო სვანეთის ჭედური ხატების შემსწავლელი ექსპედიცია.
- 2007 წ. XIX-XX სს. ბერძნული კულტურის კვალი საქართველოში. ექსპედიციები წალკის და თეთრიწყაროს რაიონებში.
- 2008 წ. ადრექრისტიანული რელიეფების შემსწავლელი ექსპედიცია ბოლნისის რაიონში.
- 2009 წ. დაზვერვითი ექსპედიცია ისტორიულ მნაში (ყაზბეგის რ-ნი).
- 2009 წ. დაბა მესტიის ისტორიული უბნის ლანჩავლის ისტორიულ- არქიტექტურული რეაბილიტაციის სახელოვნებათმცოდნეო კვლევა.
- 2010 წ. ამბროლაურის „მაჩაბლების კოშკის“ რესტავრაციის სახელოვნებათმცოდნეო კვლევა.
- 2009 წ. დაბა მესტიის ისტორიული უბნის ლანჩავლის ისტორიულ- არქიტექტურული რეაბილიტაციის სახელოვნებათმცოდნეო კვლევა
- 2009-2010 წწ. აღმაშენებლის გამზ. ფასადების სარესტავრაციო პროექტის აზომვითი სამუშაოების შესრულება.
- 1999-2004 წწ. გაეროს ბავშვთა ფონდის 20-მდე პუბლიკაციის დიზაინი და დაკაბადონება.
- 2008 წ. ჟურნალ „მასწავლებელი“-ს (1-4 ნომრები) დიზაინი და დაკაბადონება.
- 1992-2010 წწ. გამომცემლობა „ნეკერი“, 300-მდე პუბლიკაციის დიზაინი და დაკაბადონება.
- 1997-2010 წწ. გამომცემლობა „დიოგენე“, 50-მდე პუბლიკაციის დიზაინი და დაკაბადონება.
- 2009-2010 წ. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის წიგნების (10 –მდე) დიზაინი და დაკაბადონება.
- 2010 წ. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დაზვერვითი ექსპედიცია კოჯრის კაბენზე.
- 2009-2010 წ. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საგამომცემლო საქმიანობის დეპარტამენტში მოზადებული და გამომცემული მაქვს 28 წიგნი, 2 სამეცნიერო ბიულეტენი, 2 საიუბილეო ფოტო ალბომი და სხვადასხვა სახის ბეჭდური თუ სარეკლამო პროდუქცია.

სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა

- 1990 წ. ლ. რჩელიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია.
- 1992 წ. გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენცია.
- 1995 წ. გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენცია.
- 2004 წ. გის და დზ მომხმარებელთა VI საერთაშორისო კონფერენცია
- 2007 წ. ვ. ჯობაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია.

სემინარებში და გამოფენებში მონაწილეობა:

- 1996 წ. თურქეთში (ისტ. ტაო-კლარჯეთში) მოწყობილ ექსპედიციების ქართული ძეგლების ანაზომების გამოფენა. ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი. თბილისი.
- 1997 წ. ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა. ფრანკფურტი. გერმანია.
- 1998 წ. სემინარი კულტურული მემკვიდრეობის აღნუსხვა დიდ ბრიტანეთში. ლონდონი. დიდი ბრიტანეთი.
- 1999 წ. სემინარი – „მარკეტინგი და პრომოცია საგამომცემლო საქმეში“, გუდაური, საქართველო.
- 2000 წ. სემინარი – „საგამომცემლო საქმე“, ლიკანი, საქართველო.
- 2006 წ. პერსონალური ფოტოგამოფენა – „კაპადოკია“. ი. ჭავჭავაძის სახ. პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.
- 2008 წ. ფოტოგამოფენა „საბერძნეთი საბერძნეთს მიღმა“. ბაია გალერეა.

ძირითადი პუბლიკაციები:

1. „მეცნიერება და ტექნიკა“ 1982, №3. „რკონის ხუროთმოძღვრული კომპლექსი“.
2. „დარბაზი“ №2. „გზად ბეთლემისკენ“
3. „ძეგლის მეგობარი“ 1991, №1. „ზაქათორის ხუროთმოძღვრული კომპლექსი“
4. „მაცნე“, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 1991, №4. ნ.ბახტაძესთან ერთად. „კონდაშიანის უდაბნო-მონასტრის შესწავლისათვის“.
5. „ძეგლის მეგობარი“ 1992, №1. „აკვედუკი ანუ ბელღარი „ქვახიდა“ სოფ. ხოვლედან“.
6. 1992 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენციის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. „თავკავთას წმ. გიორგის სამონასტრო კომპლექსის შესწავლისათვის“.
7. „ძეგლის მეგობარი“ 1993, №1. „ეკლესია სოფელ აზმანაში“.
8. 1995 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენციის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. „თავკავთას წმ. გიორგის ეკლესიის ორნამენტული დეკორი“.
9. „ძეგლის მეგობარი“ 1996, № 1/92, 2/93. „მოგზაურობა თურქეთში“.
10. სტატიები ენციკლოპედია „საქართველო“ -სთვის.
11. სტატიები – „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა“ ტომი 5; 1990 წ.
12. სტატიები – „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა“ ტომი 2; 2004 წ.
13. ტურისტულ რუკა – „საქართველო – ძეგლები და ტურისტული მარშრუტები“; 2003 წ.
14. კომპაქტ-დისკი (ქართულ და ინგლისურ ენაზე) – „აღმოსავლეთ საქართველოს ტურისტული რესურსების გეოინფორმაციული სისტემა“; 2006 წ.

15. წიგნი „ნეკრესი – ცნობარი მომლოცველთა და მოგზაურთათვის“
(თანაავტორი); 2010 წ.

საკონტაქტო ინფორმაცია: tel.: (+995 32) 33-42-33, 36-45-90,

899-57-52-64 (მობ.), 851-57-52-64 (მობ.)

el-fosta: g_bagrioni@yahoo.com

ნინო გიორგობიანი
CV

მისამართი

ვარკეთილის 3, I მკ/რ-ნი,
კორპუსი 14, ბინა 3
თბილისი 0163
საქართველო
ტელ: (995 32) 79-71-82
(555) 73 93 33
e:mail – giorgobianinino@gmail.com.

დაბადების თარიღი

1970 წლის 22 დეკემბერი

მოქალაქეობა

საქართველო

განათლება

- თბილისის №179 საშუალო სკოლა (1987).
- თბილისის სასულიერო აკადემიასთან და სემინარიასთან არსებული საღვთისმეტყველო ინსტიტუტის ქრისტიანული ხელოვნების ფაკულტეტი – „სამი ნაქარგი კრეტსაბმელი იესეს ხის გამოსახულებით“ (წარჩინებით).

სამუშაო გამოცდილება

- თბილისის სასულიერო აკადემიის ქრისტიანული ხელოვნების კათედრის გამგის თანაშემწე (2000 – 2009)
- თბილისის საშუალო სკოლა „ოპიზას“ მასწავლებელი, საღმრთო სჯულის პედაგოგი (2000-2002).
- თბილისის სიონის ტაძრის სამრევლო სკოლა, ხატწერის საფუძვლების პედაგოგი, (2005 – დღემდე).
- შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმის მონუმენტური ფერწერის ფონდის სტაჟიორი (2010-2011).
- საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციების (ფონდების) დაცვა-აღრიცხვისა და მართვის სამსახურის ასისტენტი (2011-2012).
- საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციების (ფონდების) დაცვა-აღრიცხვისა და მართვის სამსახურის მენეჯერი (2012-დან დღემდე).

სალექციო კურსები

- პოსტბიზანტიური ხელოვნება, თბილისის სასულიერო აკადემია (2001 – დღემდე)
- ქართული მინიატურა, თბილისის სასულიერო აკადემია (2003- 2005)
- ქართული კედლის მხატვრობა, თბილისის სასულიერო აკადემია (2006 – დღემდე)
- ქრისტიანული იკონოგრაფია, თბილისის სასულიერო აკადემია (2007 – 2009)
- ბიზანტიური ფერწერა (2007 – 2009)
- ხელოვნების ნაწარმოების მხატვრულ-სტილისტური ანალიზი (2009 - 2011, 2013 - დღემდე)

პუბლიკაციები

1. ღმრთისმშობლის დაუჯდომელის დასურათების ისტორიისათვის გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში, *საქართველოს სიძველენი*, №3, 2003.
2. ძველი ქართული კრეტსაბმელები, *მოყვასი*, №10, 2003.

3. ღმრთისმშობლის დაუჯდომელი ქართულ კედლის მხატვრობაში, *ლოგოსი. საქართველოს საპატრიარქოს და ისტორიის, ეთნოლოგიისა და რელიგიის შესწავლასა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრის ჟურნალი*, IV, 2007, გვ. 407-413.
4. ბოლნისის სიონის მოხატულობა და მისი ქტიტორები – ეპისკოპოსი ნიკოლოზი და მეფე გიორგი XI, *ვ. ბერიძის სახ. ქართული ხელოვნების საერთაშორისო სიმპოზიუმი, ქართული ხელოვნება ევროპისა და აზიის კულტურათა კონტექსტში, თეზისები*, 2008, გვ.94.
5. Зарзмский Монастырь, *Православная Богословская Энциклопедия*, т. XV (Москва, 2008).
6. ფიჩხოვანი, კორპუსში: „ისტორია სახეებში“ (იბეჭდება).
7. ვაყა, კორპუსში: „ისტორია სახეებში“ (იბეჭდება).
8. ამაშუკეთი, კორპუსში: „ისტორია სახეებში“ (იბეჭდება).
9. ყანჩაეთის ჟამგულანი, კორპუსში: „ისტორია სახეებში“ (იბეჭდება).
10. ბოლნისის სიონი, კორპუსში: „ისტორია სახეებში“ (იბეჭდება).
11. არგოხი, კორპუსში: „ისტორია სახეებში“ (იბეჭდება).
12. ქედისუბანი, კორპუსში: „ისტორია სახეებში“ (იბეჭდება).
13. წალენჯიხა, კორპუსში: „ისტორია სახეებში“ (იბეჭდება).
14. ამჟამად ვმუშაობ სადისერტაციო თემაზე “ღმრთისმშობლის დაუჯდომლის დასურათება შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში”

მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებში

- საერთაშორისო სიმპოზიუმი – ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში: წარსული, აწმყო, მომავალი, თბილისი, 2005.
- ქართული ხელოვნების საერთაშორისო სიმპოზიუმი: ქართული ხელოვნება ევროპისა და აზიის კულტურათა კონტექსტში, თბილისი, 2008.

საველე სამუშაოები:

- • გარეჯის მრავალმთის უდაბნოს მონასტერი, ხობის მონასტერი, დმანისის სიონი, სვეტიცხოველი, ხობი, მალალანთ ეკლესია – 2002
- • გარეჯის მრავალმთის მრავალწყაროს მონასტერი, წალენჯიხა, კორცხელი, ცაიში, გელათი, ნიკორწმინდა – 2003
- • პერევისა, მღვიმევი, კაცხი, ჭალა, ქორეთი, ვაყა, ფავნისი, მარტვილი, სეფიეთი, შემოქმედი, ჯუმათი, აჭი, ლიხაური, ზემო კრიხი, ბუგეული, ლაბეჭინა, ბარაკონი, სორი – 2004
- • ახატანი, გელათი, მესტია, უშგული (ცაჟაში, ლამარია), ლატალი (მაცხვარიში), ლენჯერი (მხერი), მუჟალი (ჩვაბიანი), ფარი (იფრარი, წვირმი, ადიში), ალავერდი, გრემი, არგოხი, ფიჩხოვანი, ახალი ხატი, რუისპირი, ალვანი, ერელაანთ საყდარი, ნეკრესი, შუამთა – 2005
- • ამაშუკეთი, ტაბაკინი, ილემი, წითელიხევი, ოზჩა, ოქონ დაბიში, მამი, საყდარი – 2006
- • ზარზმა, ბეთანია, რკონი, ერთაწმინდა – 2007
- • ყინცვისი – 2008

მონაწილეობა პროექტებში

- • ისტორია სახეებში: ისტორიულ პირთა გამოსახულებები ქართულ ხელოვნებაში – პროექტის მონაწილე (პროექტის ხელმძღვანელი- ზ. სხირტლაძე) (2003 – 2009)
- • საქართველოს ეკლესიის წმინდანთა გამოსახულებების კორპუსი – პროექტის მონაწილე (2003 – 2009)
- • ბახტრიონის ეკლესიის რესტავრაცია – პროექტის ხელოვნებათმცოდნე -კონსულტანტი (2008).
- • სამუზეუმო პროექტი “ქართული ფრესკა და მისი მოამაგენი” (პროექტის ავტორი ნ. ჩიხლაძე) – პროექტის მონაწილე (2011).

უცხო ენების ცოდნა

- ინგლისური – საკომუნიკაციო
- რუსული – თავისუფლად
- ბერძნული – წერა/კითხვა

სხვა უნარ-ჩვევები

კომპიუტერული პროგრამები

- Microsoft Word
- Photoshop.
- Microsoft Excel.

C.V.

ზურაბ ბაჩეჩილაძე

დაბადების თარიღი:

1940 წ. 15 ივნისი

განათლება:

1963-1968წ.წ.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი,
სამოქალაქო და სამექარმეო მშენებლობის
ფაკულტეტი

სამუშაო გამოცდილება:

2012 წ. - დღემდე

ააიპ «ინჟინრული აზრი» - მთ. კონსტრუქტორი

1968 წ. – 1993 წ.

ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის რესტავრაციის
ცენტრი - მთ. ინჟინერი
დირექტორი

შესრულებული სამუშაოები:

- ვარძიის კომპლექსის, ალავერდის ტაძრის, კუმურდოს, ფოკას, საფარის, შატილის, წულრულაშენის, ბოლნილის სიონის, ფიტარეთის, ზარზმის, ვაჩნაძიანის, ხერთვისის ციხის, ჭულეს, ფუძნარის და სხვა ეკლესიების და ციხე-სიმაგრეების სარეაბილიტაციო საპროექტო და ფიზიკური სამუშაოების შესრულება.

ენების ცოდნა:

ქართული, რუსული

ნოდარ ყავლაშვილი
მუხრანის ქ. 21, თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 93 185188
ელ. ფოსტა: noka57@mail.ru

განათლება

1974-1979 მოსკოვის გეოდეზიის, აეროფოტოგრაფიისა და კარტოგრაფიის ინსტიტუტი. სადიპლომო ნაშრომი თემაზე: ფიზიკის, გეოდეზიის, აეროფოტოგრაფიისა და კარტოგრაფიის მათემატიკური ასპექტები

1986-1987 ტაშკენტის უცხო ენათა ინსტიტუტი. პორტუგალიური ენის თარჯიმანი და პედაგოგი. სადიპლომო ნაშრომი თემაზე: პორტუგალიური ენის გრამატიკა, ისტორია და ლიტერატურა

სამუშაო გამოცდილება:

06/2007-დღემდე გეოდეზისტი. შპს. მნ-პროექტი

06/2006-დღემდე გეოდეზისტი. შპს. ვესტა

1/1991-06/2006 გეოდეზიის ინჟინერი, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სახელმწიფო დეპარტამენტი. მიწათმშობელი

06/1979- 06/2006 გეოდეზიის უფროსი პედაგოგი. თბილისის გეოდეზიისა და კარტოგრაფიის ინსტიტუტი

04/2001-04/2003 გეოდეზიის პედაგოგი. SIDA-სა და შვედეთის გეოდეზიის ერთობლივი პროექტი

05/1988-12/1990 უფროსი მრჩეველი. ანგოლის გეოდეზიისა და კარტოგრაფიის ინსტიტუტი ლუანდაში.

09/1994-09/2004 უფროსი გეოდეზი GPS Trimble 4000-ში. UNAVCO-სა და მასაჩუსეტსის ტექნოლოგიის ინსტიტუტის ერთობლივი პროექტი

ექსპერტიზა

გეოდეზიის პირველადი მომწოდებელი
GPS Trimble 4000

კომპიუტერული უნარები: ACAD, AUTODESC Land DESC TOP,
Windows 2000/XP, IIS, NET სერვერები, აგრეთვე SQL, PL/SQL

ჯილდოები და სიგელები: ანგოლის, ლუანდის გეოდეზიისა და კარტოგრაფიის
საპატიო დიპლომი - 1990

პირადი მონაცემები: საქართველოს მოქალაქე. ენები: რუსული,
პორტუგალიური, ინგლისური სრულყოფილად. ჰობი: მოგზაურობა, ალპინისტობა,
ლიტერატურა, ფოტოგრაფია, მუსიკა, სპორტი.

CURRICULUM VITAE

სახელი, გვარი

გიორგი მიქაძე

მისამართი

თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. №2, ბ.155

დაბადების თარიღი და ადგილი

1984 წ. 5 მარტი, თბილისი

ბანათლება

2001-2005წ.წ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
ენერგეტიკის ფაკულტეტი,
2008წ. – ჰოლანდია, დელფტის ტექნოლოგიური
უნივერსიტეტი, გეოინფორმატიკის ფაკულტეტი –
ინდივიდუალური სამთვიანი სასწავლო კურსი

პროფესია

ინჟინერ-ენერგეტიკოსი

საქმიანობა

2006 - დღემდე – ააიპ “ინჟინრული აზრი” -

ინჟინერი, 3D სკანირების ოპერატორი

ბანსორციელებული
და მიმდინარე პროექტები

- ტაო-კლარჯეთი, ოშკის ტაძრის აზომვა დოკუმენტირება;
- გრემის სამონასტრო კომპლექსის აზომვა-დოკუმენტირება;
- მოწამეთას სამონასტრო კომპლექსის აზომვა-დოკუმენტირება;
- მესტია, ლანჩხალის უბნის რეაბილიტაციის პროექტი;
- გელათის სამონასტრო კომპლექსი, აზომვა დოკუმენტირება;
- თბილისი, რუსთაველის გამზ. “ცისფერი” გალერეის წინასაპროექტო აზომვითი სამუშაოები და კვლევა.
- ქ. თბილისში, ლ. გუდიაშვილის ქუჩა №№ 5,9,11,16 აზომვითი სამუშაოები
- ქ. თბილისში, ლ. გუდიაშვილის მოედ. №7/2-ში მდებ. შენობის რეკონსტრუქციის პროექტი;
- ქ. თბილისში ბ. ახოსპირელის ქ.№4-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის პროექტი;

კომპიუტერული პროგრამები

AutoCAD ; PhotoShop CS2; Premier.Pro ; Cyclon ; PhotoModeler.

- ენების ცოდნა

- ქართული, ინგლისური, რუსული.

CURRICULUM VITAE

სახელი, გვარი	დავით შანიძე
დაბადების თარიღი და ადგილი	25 იანვარი, 1942, თბილისი
მისამართი განათლება	თბილისი, ნიკოლაძის ქ. №11 1966-1968 - თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი, გეოგრაფიის ფაკულტეტი 1968-1972 - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გეოლოგიურ-გეოგრაფიის ფაკულტეტი
სპეციალობა	გეოლოგი
საქმიანობა	1980–დღემდე – სსი “საქსოფლმშენი” , პარტიის უფროსი 1975-1980 – – უფროსი ჰიდროგეოლოგი 1972-1975 – – ინჟინერ-გეოლოგი
განხორციელებული და მიმდინარე პროექტები	- “წითელი ხიდის” სასაზღვრო საგუშაგოს პროექტი; - პოთის სასაზღვრო საგუშაგოს პროექტი; - ქ.ჭიათურასა და კრწანისში სათბური კომბინატების წყალმომარაგების პროექტი; - ახალციხის, ოჩამჩირის, თამარიის, გომის მეფრინველეობის მეურნეობის წყალმომარაგების პროექტი; - მარნეული და წნორის რნ-ბის მიწების დაშრობის პროექტი
ენების ცოდნა	ქართული – მშობლიური; რუსული - კარგად;

ვიტალი ნაზაროვი

ხმელისაფხვის ქუჩა 44 "ა",
საქართველო
0136 თბილისი
ტელ: (995 32) 79 10 76
მობ: (995 93) 39 31 55
ელ.ფოსტა: vivanazarone@mail.ru

პირადი ინფორმაცია

- დაბადების თარიღი: 27.05.1951
- დაბადების ადგილი: თბილისი

განათლება

1973-1980 საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

სამრეწველო და ქალაქგეგმარებითი მშენებლობის ფაკულტეტი
ინჟინერ-მშენებლის აპლიკანტი

1980

მაგისტრის ხარისხი ქალაქგეგმარებით მშენებლობაში.

მუშაობის გამოცდილება

ააიპ "ინჟინრული აზრი"

2008– დღემდე

შპს "ტოპ" - სახარჯთაღრიცხვო სამუშაოები

ტექნიკური განყოფილების ინჟინერი შ.პ.ს. „მ & ნ“

2006– დღემდე

ქალაქგეგმარებითი ინჟინერია () – "ჯარიტას საქართველო"

2004-დღემდე

დაგეგმარებისა და ტექნიკური დეპარტამენტის უფროსი

1989-2004

"სპეცრემდიზაინმშენი"

დაგეგმარებისა და ინდუსტრიის დეპარტამენტის უფროსი

1980-1989

სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების საბჭოში

კულტურის სამინისტროში

ქალაქგეგმარებითი ინჟინერიის სამშენებლო დეპარტამენტში 1975-1980

ვაჭრობის სამინისტროს ექსპერტი და მრჩეველი

სამშენებლო საქმიანობაში

შასრულაბული საშუაობი

- ჟარიტასის აბაღაზრტული ცენტი
- სარემონტო საშუაობი ისტორიული ძეგლები: იყალთოს მონასტერი, უბისის მონასტერი, სომხური ჟათედრალი თბილისში, ვარძიის ისტორიული ჟომპლექსი
- მიწისძვრით დაზიანებული საბავშვო ბაღებისა და სკოლების ზედამხედველობა
- ოპერისა და ბაღეტის თეატრის აღდგენითი საშუაობი, ფასადის მოპირეეება
- სამხატვრო აჟაღების აღდგენითი საშუაობი
- რუსთაველის თეატრის სრული რეჟონსტრუქცია და აღდგენითი საშუაობი
- სახელმწიფო ჟონსერვატორიის რეჟონსტრუქცია და აღდგენითი საშუაობი
- საქართველოს ეროვნული ბანკის რეჟონსტრუქცია
- ჟუთაისში ჟალათბურთის სპორტული ჟომპლექსის ხარჯთაღრიცხვა
- საცერაო აუზების და სპორტული დარბაზების ხარჯთაღრიცხვა: გურჯაანი, საგარეჯო, მესტა, ლანჩხუთი, ჟიათურა
- სასტუმრო გუდაურში

ენები

- ჟართული – ჟარგად
- რუსული – ჟარგად
- სომხური – ჟარგად
- ინგლისური – საშუალოდ

ჟომპიუბარული პროგრამები

- Microsoft Excel, Microsoft Word
- ArchiCAD.

ანჩისხატის ბაზილიკის რეაბილიტაცია

განმარტებითი ბარათი

წმ. მარიამის სახელობის ანჩისხატის უძველესი ბაზილიკა შემონახულია ძველი თბილისის ზემო კალას უბანში. დღეს ის ძირითადად XIX ს-ნის სახლებითა და თანამედროვე ნაგებობებითაა გარშემორტყმული.

ძველის ტერიტორიას დასავლეთიდან შავთელის ქუჩა ესაზღვრება, მთავარი შესასვლელიც აქედანაა. აგურის ნაგები XVIII ს-ნის სამრეკლოს I სართულის შეისრული თაღებით გახსნილი კარიბჭის გავლით. სამრეკლო ანჩისხატის ბაზილიკის დონესთან შედარებით 3მ-ით მაღლაა და ეზოში გვიან მოწყობილი ფართო კიბეებით ჩავდივართ. სამრეკლოს დასავლეთ კედლის გაგრძელებაზე ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში კუთხით ჩადგმული მე-19 საუკუნის ორსართულიანი საცხოვრებელი სახლია (მასში ამჟამად საპატრიარქოს სემინარიის ხატმწერის ფილიალია განთავსებული) მისი სამხრეთი ნაწილი შავთელის ჩიხში გადის. ჩრთილოეთიდან გაბრიადის მარიონეტების თეატრითა და ამბასადორის ნაგებობებებით განაშენიანებული შავთელის დაღმართი ესაზღვრება. ბაზილიკის აღმოსავლეთი ფასადის წინ სივრცე გახსნილია მტკვრის მარჯვენა სანაპიროსაკენ. ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ერთი სართულის მოცულობით შემონახული დომენტი კათოლიკოსის სასახლის ნაშთი. დღეს იგი მიწითაა დაფარული.

ანჩისხატის ბაზილიკა აგებულია VI ს-ნის დასაწყისში. საუკუნეთა მანძილზე ძეგლმა და მისმა გარემომაც მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა და ჩვენ დრომდე (XX ს. შუაწლებამდე) ძლიერ სახეშეცვლილმა მოაღწია. ამ დროისათვის ძეგლზე აშკარად განირჩეოდა მშენებლობის სამი ფენა: I ფენა – საკუთრივ VI ს-ნის ბაზილიკის მოყვითალო, დიდი ზომის თლილი ქვით ნაგები კედლების მოზრდილი ფრაგმენტები; II ფენა – XVII ს-სა, დომენტი კათოლიკოსის მოღვაწეობის პერიოდი, რომლის დროსაც ნაგებობის დაკარგული ნაწილები აგურით აღადგინეს. ამავე დროისაა დასავლეთით არსებული აგურით ნაგები კარიბჭე-სამრეკლო და კათოლიკოსის სასახლე; III ფენა – უკვე XIX ს-ში რუსეთის მოღვაწეობის პერიოდი. ამ დროს უხეშად ჩაერივნენ ძეგლის სტრუქტურაში და რადიკალურად შეცვალეს ძეგლის იერსახე: დასავლეთიდან მიადგეს

ოთხსართულიანი სამრეკლო, ეკლესიას დაადგეს ცრუ გუმბათი, გააფართოვეს და გადააკეთეს სარკმლები, ინტერიერში კედლები შელესეს და მოხატეს ზეთის საღებავებით, რომელსაც შეეწირა XVIII-ის მხატვრობა. ძეგლზე უარყოფითი ზემოქმედება XX საუკუნეშიც გრძელდებოდა: ინტერიერი მოქანდაკეების სახელოსნოდ იყო გამოყენებული, ტერიტორია კი ერთ და ორსართულიანი უსახური ნაგებობებით იყო განაშენიანებული ისე, რომ ტაძარი არც კი ჩანდა.

ძეგლზე დიდი მოცულობის სერიოზული კვლევითი და აღდგენითი სამუშაოები ჩატარდა თბილისის 1500 წლისთვის დღესასწაულთან დაკავშირებით, 1958-59 წლებში: ამ დროს ფოტოებით და ანაზომებით დაფიქსირდა მისი იმჟამინდელი მდგომარეობა, შურფებით და ზონდაჟებით დადგინდა ბაზილიკის იატაკის დონე, თავდაპირველი გეგმა და ნაგებობის სტრუქტურა, განისაზღვრა ჩასატარებელი სამუშაოების მეთოდი, დამუშავდა პროექტი რომლის თანახმად მოიხსნა XIX-ის დანამატები და მინაშენები, გვიანდელი შელესილობა. ძეგლის ირგვლის მნიშვნელოვნად დადაბლდა მიწის დონე, გამოვლინდა სამხრეთის მინაშენის ნაშთები. დაზუსტდა ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოების მეთოდი: ჩვენამდე მოღწეული უძველესი ნაწილების რაც საუკუნის აღდგენითი სამუშაოების შემდეგ. შიძლება სრულად ჩვენება და ძეგლის იმ სახით დატოვება რომელიც მიიღო XVII

ძეგლზე კვლევით, საპროექტო და აღდგენითი სამუშაოებს აწარმოებდა არქიტ. რესტავრატორი რუსუდან გვერწითელი. მისი ამ წლების ნამუშევარი იმ პერიოდშივე აისახა “ძეგლის შესწავლის ანგარიშში”, “რესტავრაციის პროექტის დასაბუთებაში და შემდეგ სარესტავრაციო სამუშაოების ანგარიშში, რაც შემდგომ საფუძვლად დაედო ფუნდამენტურ სამეცნიერო ნაშრომს “წმ. მარიაშის” ეკლესია თბილისში; ანჩისხატი” 2001 წ.

ამრიგად უაღრესად მოკლედ დროში (2 წელიწადში) ბაზილიკაზე ჩატარდა დიდი მოცულობის კვლევითი, საპროექტო და სარესტავრაციო სამუშაოები, რის შედეგადაც ძეგლმა მასებში დაიბრუნა თავისი პირვანდელი სახე, ხოლო ვიზუალურად აშკარად გამოიკვეთა VI და XVIII-ის მშენებლობის პერიოდები.

ბაზილიკაზე აღდგენითი სამუშაოების დამთავრების შემდეგ სამუშაოები გაგრძელდა ძეგლის გარემომცველ ტერიტორიაზე: მისი შექლებისდაგვარად რეაბილიტაციის მიზნით ტერიტორია გაიწმინდა პარაზიტი ნაგებობებისაგან, გაიხსნა სივრცე სამხრეთით და აღმოსავლეთით და ძეგლი წარმოჩინდა მთელი თავისი სისავსით.

რესტავრაციის პროცესში მიწა ძეგლის ირგვლივ და ინტერიერშიც მოიჭრა 1.0-1.5 მ-ის სიმაღლით, ეზოს სამხრეთი ნაწილი კი დარჩა არსებულ დონეზე. მისი დადაბლება ვერ მოხერხდა ეზოს სამხრეთ – დასავლეთ კუთხეში არსებული მე-19 საუკუნის ორსართულიანი აივნისანი საცხოვრებელი სახლის გამო. მისი ავარიული მდგომარეობის გამო, ნაგებობიდან გაასახლეს მაცხოვრებლები, რის შემდეგაც მასზე ჩატარდა გამაგრებითი სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც მომდევნო წლებში ძეგლთა დაცვის საზოგადოებას ეკავა.

1981 წელს ანჩისხატის ტერიტორიის სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში საკონფერენციო დარბაზის მშენებლობა იყო განზრახული. მისი საძირკვლისთვის მიწის ექსკავატორით ამოღების დროს გამოვლინდა აგურით ნაგები კაპიტალური კედლები, რამაც შეაჩერა ჩაფიქრებული მშენებლობა. შესწავლის შედეგად იგი აღმოჩნდა სამრეკლოს თანადროული დომენტი კათოლიკოსის სასახლე, რომელიც შემორჩენილიყო ორი სართულის სიმაღლით. მასზე ჩატარდა საკონსერვაციო სამუშაო, გადაიხურა სიმკარებით, მაგრამ დაიფარა მიწაყრილით. სადღეისოდ მისი მდგომარეობა სავალალოა: ჩარეცხილია ჩასასვლელი, ინტერიერი ივსება გრუნტის წყლებით და დროზე არ ეშველა განადგურება ემუქრება.

ამ წლებში შესრულებული კვლევითი, საფიქსაციო და ტექსტური მასალა სრულად ინახება ძეგლთა დაცვის სააგენტოს არქივში.

1958 წლის სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარებიდან 55 წელი გავიდა. ამ პერიოდის განმავლობაში ძეგლის გარშემო ბევრი რამ შეიცვალა: ეტაპურად იქნა აღებული მის გარშემო არსებული საცხოვრებელი სახლები, რესტავრაცია გაუკეთდა შავთელის ქ. საცხოვრებელ სახლს, გამოვლინდა და კონსერვაცია ჩატარდა ტაძრის სამხრეთ მინაშენის და დომენტი კათოლიკოსის სასახლის ნაშთებს, კეთილ მოეწყო ტერიტორია, ამოქმედდა ტაძარი.

ამგვარად 1981 წლამდე ძეგლის გარშემო პერიოდულად სულ მიმდინარეობდა სამუშაოები, მაგრამ საკუთრივ ტაძარზე გარეგნული ცვლილებები მხოლოდ მისი ამოქმედების შემდეგ (1981 წ.) გახდა შესამჩნევი. ეკლესიის მსახურები და მრევლი უნებლიედ გახდნენ ხშირი დამკვირვებლები და ისინი აფიქსირებდნენ ყველა იმ ცვლილებას, თუნდაც მცირეოდენს, რასაც განიცდიდა ეს მრავალჭირგამოვლილი ნაგებობა.

ანჩისხატის ტაძრის არსებული მდგომარეობა

ტაძარზე, ვიზუალური დაკვირვებით, სხვადასხვა სახის დაზიანებები შეინიშნება, რომელთა გამომწვევი მიზეზებიც სხვადასხვაა. ზოგადად ეს დაზიანებები შეიძლება ორ კატეგორიად დავეყოთ: კედლის ქვედა, ქვითნაგებ უძველეს, VI ს. ნაწილზე და ზედა, XVII ს-ის აგურის წყობაზე.

კედლების ქვედა ნაწილში ძირითადად დაზიანებულია ცალკეული ქვები ან ქვების ჯგუფი, რომლებზეც შეინიშნება მხოლოდ ზედაპირული დაზიანებები ანატკეჩების, ცვეთადობის, გამოქარვის, ნახანძრალის სახით. ზოგადად კედლების ეს ნაწილები ჯანსაღად გამოიყურება, ბზარების გარეშე.

სხვა სიტუაციაა კედლების ზედა, ძირითადად აგურით ნაგებ ნაწილში, როგორც ფასადებზე, ასევე ინტერიერში. ფასადებზე შეინიშნება შემდეგი სახის დაზიანებები: გამოქარულია აგურის რიგებს შორის ხსნარი, რის გამოც შესუსტებულია მათ შორის კავშირი, მრავალ ადგილას ნაწილი აგურებისა დაშლილია, ნაწილი გამოცვენილი და ეს პროცესი დღესაც მიმდინარეობს.

აგურის წყობები განსაკუთრებით დაზიანებულია სხვადასხვა პერიოდის და სხვადასხვა სამშენებლო მასალის ერთმანეთთან კავშირის ადგილებში. მაგალითად, აღმოსავლეთ ფასადზე გვერდითა ნაგების და ცენტრალური შეერთების ხაზზე; ანალოგიურად დასავლეთ ფასადზე სამხრეთ მინაშენის მხარეს.

კედლებზე მოჩანს ვერტიკალური ბზარები. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეს ბზარი ზედა მხარეს ან არ აღწევს კარნიზებამდე, ან მთავრდება კარნიზებთან. კარნიზები კი მთელ პერიმეტრზე ჯანსაღად გამოიყურება.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ბზარები ფასადებზე 1958 წლის რესტავრაციამდელია და არ ვითარდება.

სახურავზე მრავალ ადგილას მოსჩანს დაზიანებული კრამიტები.

რაც შეეხება ბზარებს და სხვა დაზიანებებს ინტერიერში, ისინი შემდეგში მდგომარეობს: კამარებზე გრძივი მიმართულებით მთელ სიგრძეზე გასდევს ბზარები, რომლებიც შემდეგ კედლებზეც ვრცელდება. კამარების დიდ მონაკვეთებზე შეინიშნება სისველის ლაქები, განსაკუთრებით მათი განივ კედლებთან შეერთების ადგილებში და ცენტრალურ ნაგში მთელ სიგრძეზე.



განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ჩრდილოეთი კედელი ინტერიერის მხრიდან, რომელიც ძლიერაა დაზიანებული თითქმის მთელი კედლის სიგრძეზე, იატაკიდან დაწყებული სამი მეტრის სიმაღლეზე. კედლის ქვის კვადრები სხვადასხვა სიღრმეზეა გამომტვრეული და ზოგიერთ ადგილას მოჩანს მხოლოდ დულაბში ჩარჩენილი ქვის პატარა ნატეხები.

ტაძარს სამხრეთიდან აქვს მინაშენი, რომელზეც 1958 წლის რესტავრაციის შემდგომ პერიოდში, 70-იან წლებში, ჩატარდა საკონსერვაციო სამუშაოები და დაცვის მიზნით მისი ზედაპირები გადაიხურა მსგავსი ჯიშის, დიდი ზომის სწორკუთხა ქვებით. დღეს ეს კედლები სავალალო მდგომარეობაშია: მის ერთ ნაწილზე, სამხრეთ-აღმოსავლეთ სათავსოზე, აღარ არის საკონსერვაციო ფენა, კედლები იშლება, აღმოსავლეთის მხრიდან ქვები დაძრულია, სათავსოების შიგნით და გარშემო ყველაგნ ამოსულია ბალახი.

ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტაძრის კედლებზე არსებულ ბზარებს 1958 წლის რესტავრაციის შემდეგ არ განუცდია ცვლილება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ძეგლის გარშემო და ინტერიერში ხარაჩოების დადგმის შემდეგ, სკურპულოზურად უნდა იქნას შესწავლილი თითოეული ბზარი და ყველა სხვა დაზიანება, რომლებიც გააჩნია ნაგებობას.

- აგურის კედლების დაზიანებულ მონაკვეთებში მოიხსნას მორყეული აგურები, გამოსუფთავდეს და ისევ უკან დაბრუნდეს რიგების დაცვით. ნაკლული ადგილები შეივსოს არსებულის ზომის სპეც.აგურით.
- თითოეულ დაზიანებულ ქვაზე დაზიანების გამომწვევი მიზეზის და ხარისხის დადგენის შემდეგ, შეირჩეს მათი გადარჩენის ან არსებობის გახანგრძლივების უახლოესი და პრაქტიკულად გამოცდილი მეთოდები და საშუალებები.
- შესწავლილ იქნას კედლის ბზარები პასტოფორიუმების და კონქის თავზე არსებული სამალავის ფარგლებში. კამარების ბზარებზე, დროში მათი ცვლილებების დადგენის თვალსაზრისით, დაყენდეს ყალაურები.
- ლაზერული სკანირების მეთოდით აიზომოს ტაძრის ჩრდილოეთი კედელი ინტერიერის მხრიდან, რაც საშუალებას მოგვცემს გამომტვრეული ადგილების კონფიგურაცია და სიღრმეები თითოეული ქვის ფარგლებში და ზედმიწევნით ზუსტად განვსაზღვროთ კედლის ადგენის მეთოდი და საშუალებები.
- სამხრეთ მინაშენის მორყეული ქვები გადაეწყოს. აღდგეს აღმოსავლეთი კედლის განგრეული მონაკვეთი არსებულის მსგავსი ჯიშის ქვით. კედლების ზევიდან მთელ პერიმეტრზე მოეწყოს საკონსერვაციო ფენა.
- ტაძრის სახურავზე მთლიანად მოიხსნას ცემენტის ხსნარზე დაწყობილი კრამიტი, ფრთხილად გაიწმინდოს კამარების ზედაპირი უვარგისი ხსნარისგან. კამარებზე არსებული ბზარები ამოიგოზოს კირის ხსნარით. მოეწყოს კრამიტის ბურული კირის ხსნარზე.

 თ. ნემსაძე
 რ. გურამიშვილი



1. აღმოსავლეთი ფასადი 1977 წ.



2. დასავლეთი ფასადი
ცენტრალური ნაწილი 1958 წ.



3. საერთო ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან
1977 წ.



4. საერთო ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან
2013წ.



5. დასავლეთი ფასადი 2013 წ.



6. საერთო ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან 2013



7. სამხრეთი ფასადის დაზიანებული კედელის ფრაგმენტი 2013 წ.



10. საერთო ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან 2013



8, 9. სამხრეთი ფასადის დაზიანებული კედელის ფრაგმენტი 2013 წ.



11. ჩრდილოეთი ფასადი - შესასვლელის აღმოსავლეთით 2013 წ.



12. ჩრდილოეთი ფასადი - შესასვლელის დასავლეთით 2013 წ.



13. დაზიანებული კედლის ფრაგმენტი 1958 წ.



14. სამხრეთი მინაშენი გახსნის შემდეგ ხედი აღმოსავლეთიდან



15. ცენტრალური ნავი – ხედი აფსიდისაკენ 1958 წ.



16. სამხრეთი მინაშენი – ხედი აღმოსავლეთიდან 2013 წ.



17. ცენტრალური ნავის კამარა – ხედი აფსიდისაკენ 2013 წ.



18. ჩრდილოეთი კედლის დაზიანებული უბანი 2013 წ.



19. ჩრდილოეთი კედელი შესასვლელის გარშემო ინტერიერის მხრიდან 1958წ.



20. ნავთაშორისი თაღების ჩრდილოეთის რიგი და ჩრდილოეთი კედელი 2013წ.




21. ჩრდილოეთი ნავის აღმოსავლეთი კედელი 2013 წ.



22 სამხრეთი ნავის აღმოსავლეთი კედელი 2013 წ.



22. სამხრეთი ნავის დასავლეთი კედელი 1958 წ.



23. სამხრეთ ნავის დასავლეთი კედელი 2013 წ.



24. გრძივი მიმართულების ბზარი კონქში 2013 წ.



25. გრძივი მიმართულების ბზარი ცენტრალური ნავის კამარაზე



26-27 -XIX ს. მხატვრობა ცენტრალური ნავის საბჯენ თაღებზე



28. მე-XIX ს. მხატვრობა ცენტრალური ნავის კამარაზე



29. მე-XIX ს. მხატვრობა ასომთავრული წარწერით

ანჩისხატის ტაძრის წინასწარი სახელოვნებათმცოდნეო კვლევა

1. მდებარეობა და მოკლე ისტორიული მიმოხილვა

ანჩისხატის ტაძარი მდებარეობს თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, იოანე შავთელის ქუჩაზე, ისტორიულ უბან ზემო კალაში. ძველი მტკვრის მარჯვენა ნაპირას, მდინარიდან 90 მეტრის მოშორებითაა აღმართული.



მისი აგება, ვახტანგ გორგასლის შვილს, დაჩი უჯარმელს უკავშირდება. სწორედ მან აღასრულა მამის ანდერძი ქართლის დედაქალაქის მცხეთიდან თბილისში გადმოტანის შესახებ და ააგო მარიამწმინდის ეკლესია (ამის შესახებ მოგვითხრობს მემატიანე ფუანშერი „მოქცევაი ქართლისაჲში“). დაჩის მმართველობა 506 წელს დასრულდა და შესაბამისად ტაძრის აგებაც VI საუკუნის დასაწყისად უნდა ვივარაუდოთ. 634 წელს ტაძრის სიახლოვეს საკათოლიკოსო სასახლე ააგეს რის გამოც ეკლესია საკათალიკოსო ტაძრად ჩამოყალიბდა. თბილისში, არაბთა ბატონობისას, მხოლოდ ამ ტაძარს ჰქონდა უფლება ზარების რეკვისა, რის გამოც ხალხში „ზარის საყდრის“ სახელით მოიხსენიებოდა. 1664 წელს, მაშინ როცა სამხრეთ საქართველოს თურქები აკონტროლებდნენ, კათოლიკოსმა დომენტი III კლარჯეთში მდებარე ანჩის მონასტრიდან ბექა ოპიზრის შემკული მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი ჩამოიტანა და ტაძარში დაასვენა. ამის შემდეგ მარიამწმინდის ეკლესიას „ანჩისხატის ეკლესია“ შეარქვეს და უბანსაც ანჩისხატის უბანს უწოდებდნენ. 1675 წელს ტაძარი მნიშვნელოვნად შეკეთდა: აგურით აღადგინეს ჩამონგრეული კედლები და თაღების დამჭერი სვეტებიც აგურით ამოიყვანეს; ამავე პერიოდში აიგო ანჩისხატის სამრეკლოც კარიბჭითურთ, 1683 წელს კათოლიკოს ნიკოლოზ III-ის




თაოსნობით ტაძარი მოიხატა. 1795 წელს, ალა-მაჰმად-ხანის შემოსევისას ტაძარი მნიშვნელოვნად დაზიანდა, რის გამოც XIX საუკუნის დასაწყისში მისი შეკეთება გახდა საჭირო. 1870-იან წლებში ტაძარს ცრუ გუმბათი დაადგეს და დასავლეთ ფასადს მრავალსართულიანი გუმბათი მიუშენეს. 1958-1964 წლებში, რუსუდან გვერნითელის ხელმძღვანელობით ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოებისას, ტაძარს ცრუ გუმბათი და მიშენებული სამრეკლო მოეხსნა, გამომზეურდა XVII საუკუნის მხატვრობა და გამოვლინდა თავდაპირველი სამშენებლო შრეები.



2. არსებული მდგომარეობა

ანჩისხატის ტაძარი წარმოადგენს 3 ნავიან ბაზილიკალურ ნაგებობას; ის დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე წაგრძელებული, გეგმაში მართკუთხა ფორმისაა, ზომებით 21.5 X 13.5 მ-ზე. ტაძარს სამი შესასვლელი გააჩნია სამხრეთ, დასავლეთ და ჩრდილოეთ მხარეს. შიდა სივრცე ორი წყვილი ბურჯებით დაყოფილ (თავდაპირველად სივრცე სამი წყვილი სვეტებით იყო წარმოდგენილი, რომელიც XVII საუკუნის გადაკეთებისას შეიცვალა) სამ ნავს წარმოადგენს, რომელთაგან ცენტრალური თითქმის ორჯერ ფართო და მაღალია გვერდითა ნაგებობათა შედარებით.



აღმოსავლეთით არსებული საკურთხევლის ორივე მხარეს სამკვეთლო და სადიაკვნეა მოთავსებული. ჩრდილოეთის პასტოფორიუმი ტაძრის გარე მასიდან მცირე შვერილით გამოდის. საკურთხეველი კონქით სრულდება, რომლის საკმაოდ მაღალ შუბლზე „ძირი იესოსი“-ა გამოსახული. ტაძრის სამივე კარი მართკუთხა ფორმის არქიტრაული ძელითაა გადახურული; მის ზემოთ კი ოდნავ ნალისებური ფორმის ნახევარწრიული ლუნეტებია გაჭრილი. ასევე ოდნავ ნალისებრი მოხაზულობისაა აღმოსავლეთის და დასავლეთის სარკმელები. აღმოსავლეთის ცენტრალური სარკმელი ნახევარწრიული რელიეფური ნარბითაა შემკული.



გვიანდელი რეკონსტრუქციის შედეგად ადრეული ხანის დეკორის ფრაგმენტები ცოტადაა შემორჩენილი; თუმცა, რაც გადაჩა V-VI სს-ისას მოგვაგონებს. საინ-

ტერესოა დასავლეთ ფასადზე შემორჩეული „ჯვრის ამალღების“ კომპოზიცია ე.წ. „ბოლოური ჯვრით“ და ანგელოზთა გამოსახულებით. აქვეა ამავე პერიოდში შესრულებული ასომთავრული წარწერა, სადაც დაჩის სახელი იკითხება. ცენტრალური ნავი ორფერდა სახურავითაა გადახურული, რომლის კარნიზებიც, ისევე როგორც გვერდითა ნაგებობის გადახურვისა XVII საუკუნისაა და აგურით შექმნილ კომპოზიციურ ჯაჭვს წარმოადგენს. სახურავი კრამიტითაა დაბურული. ძეგლის სამხრეთ მხარეს XX საუკუნის 60-იან წლებში ჩატარებული რესტავრაციისას გამოვლენილი ადრეული მინაშენის ფრაგმენტები იკითხება.

3. გადასაწყვეტი ამოცანა

ბოლო რესტავრაციის შემდეგ ნახევარი საუკუნე გავიდა და ძეგლის ფიზიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად დამძიმდა. კერძოდ, მრავალ ადგილას გაჩნდა ბზარები (ვერტიკალური ბზარი კონქის ცენტრში, ჰორიზონტალური ბზარები კამარებზე, გამჭოლი ვერტიკალური ბზარები სარკმელთა თავზე, წყობას აყოლილი ბზარი სამხრეთ პასტოფორიუმის თავზე და სხვ.). შესაძლოა ეს იყოს სადრენაჟო სისტემის მოუწესრიგებლობისა, რის გამოც საძირკველში ჩამდგარი წყალი მძიმე კედლების დაწოლით სხვადასხვა მიმართულებით იშლება. „დასამალია“ ტაძრის შიდა ელექტრო გაყვანილობა, აღსადგენია სვეტებზე ამოგლეჯილი აგურის ფენები. მოსაწესრიგებელია პასტოფორიუმის კარებთა ჩარჩოს მიმდებარე კედლები. ანჩისხატის რესტავრირებისას შესანარჩუნებელია როგორც მისი პირვანდელი არქიტექტურული ელემენტები, ასევე გვიანი შუა საუკუნეების მნიშვნელოვანი რეკონსტრუქციები.



4. მოძიებული საარქივო და ბიბლიოგრაფიული მასალა

1. ამირანაშვილი შ. ქართული ხელოვნების ისტორია. ტ. 1. თბ. 1944. გვ. 149-150. თბილისის ანჩისხატის ბაზილიკური ტიპის ეკლესიის შესახებ. მოხსენიებულია დომენტი კათალიკოსი (ეკლესია მოიხატა XIX საუკუნეში).
2. ანჩისხატი //საქართველო: ენციკლოპედია. თბ., 1997. გვ. 172. ანჩისხატის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის ხუროთმოძღვრული დახასიათება.
3. ანჩისხატი //ჯვარი ვაზისა. 1988. №3. გვ. 7-8. სამნავიანი ბაზილიკის ისტორია და ხუროთმოძღვრული დახასიათება.
4. თბილისის, ანჩისხატი //ბერიძე ვ. ძველი ქართული ხუროთმოძღვრება. თბ., 1974. გვ.25, 93, 175. მოკლე ცნობები ანჩისხატის ბაზილიკასა და სამრეკლოზე. მოხსენიებულია დომენტი კათალიკოსი (XVII ს.). ტექსტს ახლავს სამრეკლოს ფოტო (ტაბ.208).
5. გვერდნითელი რ. „წმ. მარიამის“ ეკლესია თბილისში.ანჩისხატი. თბ., 2001. გვ. 108. ანჩისხატის ბაზილიკისა და ამავე ეპოქის ძეგლების არქიტექტურული ფორმების, დეტალებისა და დეკორის შედარებითი ანალიზი.
6. გვერდნითელი რ. ანჩისხატის ბაზილიკის საამშენებლო წარწერა //მნათობი. 1987. №1. გვ. 141-145. ეკლესიის ბაზილიკის დასავლეთ ფასადზე ჯვრის ამალღების ორ რელიეფურ ფრაგმენტზე მიკვლეული ასომთავრული წარწერის ანალიზი.
7. გვერდნითელი რ. ანჩისხატის ბაზილიკის აღმოსავლეთ სარკმლის დეკორი // ძეგლის მეგობარი. 1987. კრ. 76. გვ. 6-8. აღმოსავლეთ ფასადზე აღმოჩენილი სარკმლის დეკორის ფრაგმენტი.
8. გვერდნითელი რ. ანჩისხატის რესტავრაცია // ძეგლის მეგობარი. VII. თბ., 1966. გვ. 37-42. კვლევითი და სარესტავრაციო სამუშაოების მოკლე ანგარიში.
9. დოლიძე ვ. ანჩისხატის ეკლესია. თბ., 1961. ბუკლეტი. აღწერილია ანჩისხატის სამნავიანი ბაზილიკა. მოცემულია ძეგლის ხუროთმოძღვრული დახასიათება, მოძებნილია პარალელები ბონისის სიონთან. ტაძრის ეტიმოლოგია.
10. ზაქარიაშვილი ი. ანჩისხატის ეკლესია // საქართველოს ქალი. 1975. №8. გარეკანის მე-3 გვ. VI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ნიმუშის, ანჩისხატის სამნავიანი ბაზილიკის აღწერილობა.
11. ზაქარაია პ. თბილისი. ბორჯომი. ვარძია. თბ., 1977. გვ. 6. მოკლე ცნობები ანჩისხატის ეკლესიაზე. მოხსენიებულია დომენტი კათალიკოსი.
12. კარბელაშვილი პ. ძველი ანჩისხატის ტაძარი. ტფ., 1902. გვ. 57. ტაძრისა და მასში დაცული ანჩის ხატის ისტორია. მიმოხილულია სიძველეები.
13. კარბელაშვილი მ. კინწურაშვილი ს.ჯანბერიძე ნ. თბილისის ხუროთმოძღვრული გზამკვლევი. - თბ., 1958. ანჩისხატის ეკლესიის ისტორია და ხუროთმოძღვრული დახასიათება.
14. კვიციანი თ. თბილისის აღმშენებლობის ფრაგმენტები სახელწოდებებში //საბჭოთა ხელოვნება. 1983. №10. გვ. 123-140. მოკლე ცნობები ვახტანგ გორგასალის მეშვეობით, დაჩი უჯარმელის მიერ VI საუკუნეში წმინდა მარიამის სახელზე აშენებული ანჩისხატის ეკლესიაზე.
15. გვიანფეოდალური ხანის ხელოვნება: ანჩისხატი //ციციშვილი ირ. ქართული ხელოვნების ისტორია თბ., 1995, გვ.128. 1675 წელს ანჩისხატის ტაძრის სამრეკლოს მოკლე ხუროთმოძღვრული დახასიათება. ტექსტს ახლავს სამრეკლოს ფოტო (გვ.127).

16. გვიანფეოდალური პერიოდის არქიტექტურა (XV-XVIII სს.):ანჩისხატის სამრეკლო //ციციშვილი ირ. ქართული არქიტექტურის ისტორია. თბ., 1955. გვ. 81. 1675 წელს აგებული ანჩისხატის სამრეკლოს მოკლე ხუროთმოძღვრული დახასიათება. ტექსტს ახლავს საილუსტრაციო მასალა (ტაბ. XXXVI. ნახ.1-7).
17. ჯანაშვილი მ. საქართველოს დედაქალაქი ტფილისი. ქუთაისი, 1899. გვ. 174-177. ანჩისხატის ტაძრის მოკლე ისტორია, სამრეკლოს წარწერები. აღწერილია ტაძარში ანჩის საეპისკოპო ტაძრიდან გადმოსვენებული მაცხოვრის ხატი.
18. მიქელაძე კ. უძველესი ძეგლის აღდგენა (ანჩისხატი). თბ., 1958. 24 ივლისი. ეკლესიის შესწავლა-რესტავრაციის შესახებ.
19. ჯანაშვილი მ. ანჩის-ხატის ეკლესია. დროება. 1884. 18 აპრილი (№83). გვ.1-3. ტაძრის აღწერა და ისტორიული ცნობები მის შესახებ.
20. ვინმე ხუცესი. ჩვენი ისტორიული ნაშთნი და მათი დღე //ივერია. 1895. 27 ივლისი (№159). გვ. 2-3., 1ა გვ. (№162). გვ.2-3., 2 აგვ. (№163). გვ.2-3., 9 აგვ. (№169).-გვ.2-3., 12 აგვ. (№172). გვ. 2-3. წარწერები: ანჩის ხატზე, ჯვარის მამის ეკლესიაში, ბორჯომის ხეობაში, ახალციხეში. წარწერების დაზიანება სომეხი მღვდლების მიერ.
21. შინაური ქრონიკა //დროება. 1883. 19 აგვ. (№163). გვ.3-4. ჯვრის დაკარგვის თაობაზე ანჩისხატის ეკლესიაში.
22. გეგეჭკორი ნ. ანჩისხატის ტაძარი //თბილისი. 1958. 21 მაისი. გვ.2. ძეგლის ისტორიული დახასიათება.
23. კარბელაშვილი პ. სიტყვა წარმოთქმული ანჩისხატის ტაძარში //ცნობის ფურცელი. 11899. 18 აგვ. (№894). გვ. 2-3. ცნობები ანჩის ხატზე.
24. ჩუბინაშვილი გ. ქართული ხელოვნების ისტორია. ტ.1. თბ., 1936. გვ. 32-50. ცნობები თბილისის ანჩისხატის შესახებ.
25. ანჩისხატი // საქართველოს სულიერი საგანძური. წიგნი I.-თბ., 2005. გვ. 45-46. VI საუკუნის ძეგლის-ანჩისხატის მოკლე ისტორია. მოხსენიებულია დომენტი კათალიკოსი (XVII ს.), ბექა ოპიზარი. ტექსტი ქართულ და ინგლისურ ენებზე. დართული აქვს ძეგლის საერთო ხედისა და ანჩის მაცხოვარი-კარედის ხატის ფოტოები.
26. ბერიძე ვ. თბილისის ხუროთმოძღვრული ძეგლები //მეცნიერება და ტექნიკა. 1958. №10. გვ. 20-24//ძეგლის მეგობარი. 1971. კრ. 25. გვ. 21-22. ანჩისხატის, სიონის, მეტეხის, ნარიყალას, ქაშვეთის, ლურჯი მონასტრის ხუროთმოძღვრება – მოკლე დახასიათება. სახელწოდება „ანჩისხატის“ წარმოშობის თარიღი, მოკლე აღწერილობა, მშენებლებისა და რესტავრაციის შედეგები (რესტ. ხელმძღ. რ. გვერდნითელი)

გიორგი ბაგრატიონი
 არქიტექტორ-ხელოვნებათმცოდნე
 23. IX. 2013 წ.

ანჩისხატის ტაძრის ინტერიერში შემორჩენილი მოხატულობის არსებული
მდგომარეობის ანალიზი, ფოტოფიქსაცია და შეფასება

ანჩისხატის უძველესი ტაძარი სავარაუდოდ ადრეულ ხანაშიც იქნებოდა მოხატული, მაგრამ მისი ავბედითი ისტორიის გამო, ძველი მხატვრობიდან არაფერია დარჩენილი. ამჟამად ტაძრის ინტერიერში შემორჩენილია მხოლოდ გვიანი პერიოდის ფენები. ისინი სხვადასხვა დროისაა (XVII და XIX სს.) და ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული სტილითაა შესრულებული. 1675 წელს დომენტი III კათალიკოსის მიერ წამოწყებულ განახლების პროცესს კათალიკოსი ნიკოლოზ ამილახვარი ასრულებს. სამეცნიერო ლიტერატურაში მისი მოხატვის დამკვეთად სწორედ კათალიკოს ნიკოლოზს ასახელებენ და ამ ფენის მხატვრობას 1683 წ. მიაკუთვნებენ. ტაძარი განმეორებით XIX საუკუნის 40-იან წლებში დეკანოზ დიმიტრი ალექსი-მესხიშვილის (1778–1862) დაკვეთით ზეთის საღებავებით მოუხატავთ, მხოლოდ მას შემდეგ, რაც იატაკი აამაღლეს. ამას ისიც ადასტურებს, რომ მხატვრობა ტაძრის ინტერიერში საკმაოდ მაღლაა განთავსებული. სწორედ ეს მოხატულობა დახვდა პ. კარბელაშვილს, როცა იგი 1898 წ. ანჩისხატის დეკანოზად დანიშნეს. ფრანგი ქართველოლოგი მ. ბროსე ანჩისხატის ტაძრის XIX ს-ის მოხატულობის მომხატველად პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში განსწავლულ და საქართველოში მოღვაწე ორ ძმა ოვანტამოვთაგან ერთ-ერთს მიიჩნევს. როგორც ცნობილია, აკადემიაში მათგან მხოლოდ ერთი ძმა სწავლობდა–აგათონი (მეორე ძმა –იაკობი– ასაკის გამო აკადემიაში არ მიიღეს), სავარაუდოა, რომ სწავლის დამთავრებისა და თბილისში დაბრუნების შემდეგ 1844 წელს სწორედ მას შესთავაზა დეკანოზმა დიმიტრიმ ანჩისხატის ინტერიერის მოხატვა. მხატვრობა, იმ დროს მიღებულ, რუსულ-ევროპულ ყაიდაზეა შესრულებული. შ. ამირანაშვილის მოსაზრებით, სტილის მიხედვით მას არაფერი აქვს საერთო ძველ ქართულ მოხატულობასთან და არც რუსული ხელოვნების გავლენა იგრძნობა. მოხატულობა უეჭველად შესრულებულია ადგილობრივ მხატვართა არტელის მიერ. მხატვრები მუშაობდნენ ანჩისხატის სემინარიასთან და ხელმძღვანელობდნენ უწინარეს ყოვლისა, იტალიელი მისიონერებისგან შემოტანილი ნიმუშებით (შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ. 1971, გვ.428).

1958 წ. დაიწყო ძეგლზე სარესტავრაციო სამუშაოები, რომელიც თბილისის 1500 წლის იუბილეს მიეძღვნა და პროექტის ძირითადი ნაწილი დაგეგმილი ღონისძიებისთვის დასრულდა. ხოლო მოგვიანებით სარესტავრაციო ჯგუფმა მუშაობა 1 წლის განმავლობაში განაახლა. (რ. გვერდწითელი, წმ. მარიამის ეკლესია თბილისში–ანჩისხატი, თბ. 2001). სარესტავრაციო სამუშაოების მსვლელობისას, რომელსაც რ. გვერდწითელი ხელმძღვანელობდა, XIX საუკუნის მხატვრობის ქვეშ აღმოჩნდა XVII ს-ის ფრესკების ნაშთი. რესტავრატორებს XIX საუკუნის ფენა მოუხსნიათ და გვიანი შუასაუკუნეების მხატვრობის ფენა გაუმაგრებიათ. კვალი ამ ისტორიისა კარგად იკითხება მის ფერწერულ ზედაპირზე დატანილი ნაჭდევების მეშვეობით, რომელიც ზედა ნაღესობის უკეთ დამაგრების მიზნით იქნა გამოყენებული. ძეგლზე ჩატარებული სამუშაოს თაობაზე დაწვრილებითი ინფორმაცია მოიძიება არქიტექტორ რუსუდან გვერდწითელისა და რესტავრატორ შ. აბრამიშვილის საანგარიშო ჩანაწერებში (P. Гвердцители. Отчёты исследовательских и реставрационных работ 1958-1960гг. Научное обоснование проекта реставрации. Архив института "Грузреставрация"/ III. Абрамишвили. Раскрытие стенописей памятника Анчисхати. Отчёт 1958г. Архив института "Сакреставрация".) XVII საუკუნის ფერწერული ფენიდან დარჩენილი ფრაგმენტების მიხედვით საკურთხევლის კონქს ამშვენებს „ღმრთისმშობლის დიდების“ კომპოზიცია. შ. ამირანაშვილი და პ. კარბელაშვილი ამ სცენას „სულთმოფენობად“ სახელდებენ (შ. ამირანაშვილი, თბ. 1971, გვ.428.) ღმრთისმშობლის განდიდების თემის წინ წამოწევა არც არის გასაკვირი, რადგან უფლის ხელთუქმნელი ხატის, ამ უდიდესი სიწმინდის, ანჩისხატის ტაძარში დავანებამდე ტაძარი ღმრთისმშობლის შობის სახელს ატარებდა.

კონქის შუაწელზე იკითხება საყდარზე მჯდომი ჩვილადი ღმრთისმშობლის ფიგურის ქვედა ნაწილი – კალთა ყრმა მაცხოვრის გამოსახულებით. მის აქეთ-იქით კი სავარაუდოდ ორი მთავარანგელოზისა და ერთი ანგელოზის ფიგურა უნდა იყოს. მოჩანს ორი დიდი და ერთი მცირე ზომის ფიგურის ფრაგმენტები (შარავანდის ნაწილები). ორი ქერუბიმია გამოსახული ცის სეგმენტის გასწვრივ ორივე მხარეს, გარდა ამისა ერთ-ერთი მთავარანგელოზის თავთან იკითხება განმარტებითი ასომთავრული წარწერა „გ...ელი“. აფსიდში „მოციქულთა ზიარების“ ტრადიციული კომპოზიციის ხორცი და სისხლით ცალ-ცალკე ზიარება. საკურთხეველის შუბლის მთელ ზედაპირზე გაშლილია მაცხოვრის გენეალოგიური ხის „იესეს ძირის“ მრავალფიგურიანი კომპოზიცია. რაც შეეხება XIX საუკუნის მოხატულობას, ზეთის საღებავებით მოუხატავთ გაჯის ნალესობაზე. კედლების ქვედა ნაწილს გაუყვებოდა ზეთის საღებავით დაფარული საკმაოდ მაღალი პანელი, რომლის ზემოთაც იყო გაშლილი კომპოზიციები. (რ. გვერდწითელი, თბ. 2001, გვ. 24). ისინი გადანაწილებულია ინტერიერის მთელ ზედაპირზე. იმის გამო, რომ ფერწერული ფენა ძლიერ გაჭვარტლულია და მხატვრობა საკმაოდ მაღალ რეგისტრშია განთავსებული, მისი ძირითადი ნაწილი ძნელად აღიქმება. მხატვრობა მოიცავს სამივე ნავის კედლებს, კამარებს, სვეტების კაპიტელებს და ნავების განივად მკვეთ თაღებს. ძველი აღთქმის ისტორიას ასახავს შუა ნავის ზედა რეგისტრი: თაღის სამხრეთ ფერდობზე თავსდება სცენები: „ისააკის მსხვრპლშწირვა აბრაამისგან“, „აბრაამი და მელქისედეკი“, „აღთქმის კიდობანი“; პირველი კომპოზიციის ქვეშ გამოსახულია იოანე მახარებელი, მეორის ქვემოთ ლუკა მახარებელი, ხოლო სარკმელს ქვემოთ მახარებლებს შორის ანგელოზია მთელი ტანით, ჯვრით ხელში (???). შუა ნავის კამარის ჩრდილოეთ კალთაზე გამოსახული არიან: „გედეონი მთავარანგელოზით“, „იაკობის კიბე“, „სამება სტუმრად აბრაამთან“, „კაენის მიერ აბელის მოკვლა“, „სამების“ ქვემოთ ადგილს მახარებელი მარკოზის ფიგურა იჭერს, „აბელის მოკვლის“ ქვემოთ მახარებელი მათე. მახარებლები ერთმანეთისგან გამოყოფილი არიან ანგელოზის ფიგურით, რომელსაც ხელში უჭირავს „სჯულის ფიცარნი“.

შუა და გვერდითი ნავების დამაკავშირებელი თაღების სოფიტებზე განთავსებულია ოთხ-ოთხი კომპოზიცია – სამხრეთით, მაცხოვრის ხელთუქმნელ ხატთან დაკავშირებული სცენები, ხოლო ჩრდილოეთით მარიოლოგიური ციკლის ამსახველი კომპოზიციები. თითოეულ მათგანს განმარტებითი ასომთავრული წარწერები დაუყვება.

შუა და გვერდითი ნავების გამყოფ სამხრეთი კამარის სოფიტში განლაგებული ოთხი კომპოზიციიდან აღმოსავლეთ ქანობზე წარმოდგენილია – წმ. ანტონ მარტყოფელი მაცხოვრის გამოსახულებით და ორსტრიქონიანი წარწერით – „წა მამა ანტონი მარ/ტო მყოფი“, ბჟენი ედესისანი სამსტრიქონიანი წარწერით – „ქე ღ'თო მოსა/ვი შენი არა სადა/დავარდების“, დასავლეთ ქანობზე ქვედა ნახევარზე ხელთუქმნელი ხატის სასწაულის ამსახველი სცენა იკითხება სამსტრიქონიანი წარწერით – „ღ'სა სახე საღმრ/თო საკვირველი სას/წაული“, ავგაროზ მეფის განკურნება სნეულებისგან ქანობის ზედა ნაწილს იჭერს ოთხ სტრიქონად გაშლილი წარწერით – „ნეტარ ხარ შენ/ავგაროს რ' ა/რა გეხილვა და გრ/წმენა“.

ჩრდილოეთ კამარის სოფიტის აღმოსავლეთ ქანობზე წარმოდგენილი სცენებიდან ღმრთისმშობლის ხარება სამსტრიქონიანი განმარტებითი წარწერითაა მოცემული – „ხარება ყ'დ/წდ'ისა ღ'ის მშობ/ელისა, ღმრთისმშობლის მიძინებას წარწერა სამსტრიქონად გასდევს – „მიცუალეა ყ'დ/წმიდისა ღ'ის დე/დისა“. დასავლეთ ქანობზე: ტაძრად მიყვანება ღმრთისმშობლისა – „ტაძრად შეს/ლვა ყ'დ წ'ისა/ღ'ის მშობელისა“, შობა ღმრთისმშობლისა გამშვენებულია სამსტრიქონიანი წარწერით – „შობა ყ'დ წმ/იდისა ღ'ისა მშ/ობელისა“.

სამხრეთ და ჩრდილოეთ ნავის კამარები ღრუბლებში მფრინვალე ანგელოზთა ფიგურებითაა გამშვენებული. დასავლეთ კედელზე, შესასვლელის ზემოთ, კომპოზიცია „დღე განკითხვისა“, ხოლო მის ქვემოთ ადამისა და ევას სამოთხიდან განდევნა. (და დაბლა კარების თავზე მეორედ მოსვლა ქრისტესი-სასუფვლი და ჯოჯოხეთი-პ. კარბელაშვილი). ტაძრის

თაღები და სოფიტები ძირითადად მორთულია ღია ფერის მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტით. ის თავისი ხელწერითა და მანერით განსხვავდება ძირითადი მოხატულობის სტილისაგან.

მხატვრობა ძალზედ დაზიანებულია. ჩრდილოეთ ნავს გასდევს გრძივი ბზარი, რომელიც განივად გადატყორცნილ თაღებსაც სერავს. ეს ნახეთქი აცდენილია ერთმანეთს. ბზარისგან დაზიანებულია ფრესკები, ნაწილი ფერწერული ფენისა კედელსაა მოცილებული და ჩამოცვენილია. არის საშიშროება სხვა, დანარჩენი ნაწილის ჩამოცვენისაც. გარდა ამისა, ჩრდილოეთ და სამხრეთ მკლავებში დასავლეთ და აღმოსავლეთ კედლებზე ფერწერა ჩამოშლილია და ქიმების გამაგრებას საჭიროებს, რადგან ჩამოშლის პროცესი არ გაგრძელდეს. ნახეთქებია ცენტრალური ნავის გვერდითა კედლებსა და კაპიტელებზე. კონქის მხატვრობის დიდი ნაწილი დაკარგულია, დანარჩენიც საფრთხეშია, რადგან კონქს აქვს დიდი ბზარი, რომელიც შესაძლოა გაიზარდოს და ამან შეიძლება გამოიწვიოს ძალიან მნიშვნელოვანი ძეგლის–XVII საუკუნის მხატვრობის ერთ–ერთი საუკეთესო ნიმუშის დაზიანება ან სულაც დაკარგვა.

ანჩისხატის ტაძარში არსებულ მოხატულობებს თვისობრივად განსხვავებული მხატვრული ენა და გამომსახველობითი ესთეტიკა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნის ფენის მხატვრობა თავისი ხარისხით ვერ გაუტოლდება შუა და გვიანი შუასაუკუნეების მხატვრობის ნიმუშებს, ის წარმოადგენს ძალიან მნიშვნელოვან ძეგლს ქართული მონუმენტური მხატვრობის ისტორიისთვის, ვინაიდან ქართული კედლის მხატვრობის არცერთი ძველი ნიმუში არ მოგვეპოვება მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის (ამ უდიდესი სიწმინდის) ისტორიის ამსახველი გამოსახულებებით. აქედან გამომდინარე ამ მხატვრობის კონსერვაცია საშური საქმეა.

შორიდან დათვალირებითაც კარგად განირჩევა დაზიანების ხარისხი. იმისათვის, რომ მოხდეს დაზიანებების იდენტიფიკაცია და გაირკვეს გამოწვევი მიზეზები, აუცილებელია მოხატულობის მიკრობიოლოგიური დაზიანებების დიაგნოსტიკური კვლევა და მისი შეფასება ახლო მანძილიდან ხარაჩოს საშუალებით. მხოლოდ ამის შემდგომ იქნება შესაძლებელი დაზიანების მკურნალობისა და შემდგომი ქმედების მეთოდოლოგიის განსაზღვრა.

რეკომენდებულია ფრესკების გაწმენდა ჭვარტლისა და ჭუჭყის სქელი ფენისაგან, რისთვისაც წინასწარ უნდა მოხდეს მოხატულობის და ბათქაშის კედლიდან აბურცულ–მოშორებული ადგილების გამაგრება და საკონსერვაციო სამუშაოების ჩატარება. ბათქაშზე არსებული ბზარების ინექტირება; მოხატულობის გაფხვიერებული ფერწერული ფენის გამაგრება; მხატვრობის გაწმენდა.

აღნიშნული სამუშაოების ჩატარების შემდეგ სამომავლოდ შესაძლებელი იქნება ფოტოფიქსაცია, იკონოგრაფიული სქემების დამზადება და მეცნიერული, ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევა.

ნ. გიორგობიანი

ხელოვნებათმცოდნე

დ. თბილისში, ანჩისხატის ეკლესიის ტერიტორიის

ვიზუალური დათვალიერების მოკლე

საინჟინრო-გეოლოგიური ანბარიში (დასკვნა)

2013 წლის სექტემბრის თვეში, ი/ს "გურამ ბიძინაშვილი" წარმომადგენელ ინჟინერ-გეოლოგ დ. შანიძის მიერ დათვალიერებული იქნა ძველი ანჩისხატის ეკლესია, ასევე მისი მომიჯნავე ტერიტორია.

ეკლესიის მიზანი:

ა/. უბნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესწავლა

ბ/. ანჩისხატის ეკლესიის საძირკვლებისა და მათ ქვეშ არსებული გრუნტების დადგენა.

როგორც დათვალიერებამ გვიჩვენა, ანჩისხატის ეკლესიის კედლების ტექტნიკური მდგომარეობა ძირითადად დამაკმაყოფილებელია. გამონაკლისს წარმოადგენს საკურთხეველის მიმდებარედ არსებული ორი კედელი, რომლებზედაც ფიქსირდება დიდი ზომის ბზარები.

გეომორფოლოგიურად გამოსაკვლევი უბანი მდებარეობს მდინარე მტკვარის მარჯვენა ნაპირის ჭალზედა პირველ ტერასაზე, რომლის რელიეფი ხელოვნურად არის დატერასებული მდინარე მტკვრისაკენ ოდნავი დაქანებით. ტექტონიკური თვალსაზრისით უბანი განეკუთვნება აჭარა თრიალეთის ნაოჭა სისტემაში შემავალ შამადავითის ანტიკლის ჩრდილო ფრთის დაბოლოებას, რომელიც ლითოლოგიურად აგებულია ზედა ეოცენური ასაკის გრუნტებით - ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობის სახით (E_2^3), რომელთა დაქანების აზიმუტი ჩრდილო-დასავლურია, ხოლო ქანების დახრის კუთხე კი $25-30^\circ$.

აღნიშნულ მორიგეობაში ქვიშაქვების პროცენტული შედარება არგილიტებთან შედარებით 60:40-ზეა.

ძირითადი ქანები ზევიდან გადაფარებული არიან გეოახალი ასაკის ალუვიური გენეზისის კენჭნარით (aQ_{IV}) დელუვიურ-პროლუვიური გენეზისის თიხნარებით (dpQ_{IV}) და ნაყარი გრუნტით (tQ_{IV}).

საჭიროა აღინიშნოს, რომ ძირითადი ქანების და კენჭნარის კონტაქტზე ფიქსირდება გრუნტის წყლები, (მიწის ზედაპირიდან 2,5 - 3,0 მეტრის სიღრმეზე), რომლებიც გამოირჩევიან აგრესიულობით ბეტონისა და არმატურის მიმართ.

შემოდანიშნულიდან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ საჭირო იქნება ანჩისხატის ეკლესიის საძირკვლების და მათ ქვეშ არსებული გრუნტების გამოკვლევა, დაზიანებული კედლების გამაგრების მიზნით.

იმ შემთხვევაში, თუ დადგინდა გრუნტის წყლების სიახლოვე მიწის ზედაპირთან, საჭირო იქნება ერთი ჭაბურღილის გაბურღვა სადრენაჟე სისტემის მოწყობის მიზნით, რათა გრუნტის წყლებმა (მათი დონის აწევის შემთხვევაში) არ დააზიანონ ეკლესიის საძირკვლები და კედლები.

ინჟინერ-გეოლოგი



დ. შანიძე

23.0902913

კონსტრუქციული დასკვნა

წმინდა მარიამის სახელობის ანჩისხატის ეკლესიის ვიზუალური დათვალიერების შემდეგ ჩანს ნგრევისა და რესტავრაციის რამოდენიმე ეტაპი. კედლები ნაგებია დიდი ზომის სუფთად თლილი ყვითელი ქვებისაგან. გვიან ჩამონგრეული ქვის კედლები აღდგენილია ქართული აგურით. უფრო გვიან რესტავრაციის დროს გამოქარულიდა დაღეული ქვები შეუცვლიათ ახალი ქვებით.

ადრე ჩატარებული გეოლოგიური შურფების გათხრის შედეგად გამოკვლეულია იატაკის დონე, საძირკვლის სიღრმე და მისი წყობა. საძირკველი ნაგებია დიდი ზომის ქვის ფილებით, კირის ხსნარზე, იატაკიდან ჩაღრმავებულია 1,8 მ სიგანით დაახლ. 1,8 მეტრით. საძირკველი დაფუძნებულია დიდი ზომის რიყის ქვების ნაყარზე სიმაღლით 30 სმ.

კედლებზე კამარებზე და კონქზე აღინიშნება მცირე ზომის ბზარები.

ძეგლის მდგომარეობა ძირითადად დამაკმაყოფილებელია. ბზარები არ არის გამოწვეული საძირკვლის ვადენით.

საჭიროა ძეგლზე ჩატარდეს შემდეგი სამუშაოები:

1. ჩატარდეს გეოლოგიური კვლევა გრუნტის წყლების დონის დასადგენად. გაირკვეს, საჭიროა თუ არა დრენაჟის მოწყობა.
2. არსებულ ბზარებზე დაყენდეს ყალაურები
3. ხარაჩოების დაყენების შემდეგ დეტალურად იქნას შესწავლილი ქვების, ხსნარისა და აგურის კედლების მდგომარეობა.
4. გამაგრდეს მორყეული ქვის წყობები და არსებული აგურის კედლებზე დაზიანებული უბნები
5. მოიხსნას არსებული კრამიტის სახურავი, გაიწმინდოს კამარის ზედაპირი, დამუშავდეს კალმატრონის ხსნარის თხელი ფენით (ჰიდროიზოლაცია) და დაიწყოს კრამიტი კირის ხსნარზე.
6. ხარაჩოების მოწყობის შემდეგ ყირადღებით დათვალიერდეს კედლებზე, კამარებზე და კონქზე არსებული ბზარები, გაირკვეს საჭირო იქნება, თუ არა კედლებში დაფარული მჭიმების დაყენება.

კონსტრუქტორი



ზ. გაჩეჩილაძე

შენობის რეაბილიტაციისათვის აუცილებელი

ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი

I ეტაპზე შესასრულებელი სამუშაოები:

- 1 განმარტებითი ბარათი პრობლემების დეტალური აღწერით;
- 2 სარეაბილიტაციო ობიექტის სიტუაციური გეგმა (მ 1:1000)
- 3 ტოპოგრაფიული გეგმა (მ 1:200);
- 4 სისტემატიზირებული ფოტომასალა: ობიექტის საერთო ხედები, ფასადები ინტერიერი, არქიტექტურულ-მხატვრული თვალსაზრისით ღირებული ელემენტები, საერთო და ლოკალური დაზიანების ამსახველი ფოტომასალა;
- 5 საარქივო არქიტექტურულ - არქეოლოგიური ანაზომების გამოყენება და მათი კორექტირება არსებულ ლოკალურ დაზიანებათა დატანით (გეგმების, ჭრილების, ფასადების მომზადება დაზიანებების დატანით (მ 1:100), დეტალები (მ 1:20; 1:10), შაბლონები (მ 1:1);
- 6 შენობის 3D სკანირება
- 7 შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაციები;
- 8 მიწის სამუშაოთა შესრულების შემთხვევაში არქეოლოგიური მეთვალყურეობა და მისის შედეგები;
- 9 საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური კვლევა, ტექნიკური ანგარიშის, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება (გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შეფასება, სინჯების ლაბორატორიული ანალიზი, ანალიზის შედეგების დამუშავება და დასკვნების მომზადება) ლითოლოგიური ჭრილებით, შურფებით და არქეოლოგის ხელმოწერით დადასტურებული შურფების განლაგების სქემა;
- 10 სახელოვნებათმცოდნეო კვლევის შედეგები.

II ეტაპზე შესასრულებელი სამუშაოები:

1. პროექტის არქიტექტურული ნაწილის დამუშავება:
განმარტებითი ბარათი პრობლემების გადაჭრის გზებით და მეთოდოლოგიის დასაბუთებით;
გენერალური გეგმა – (მ 1:200);
სამუშაო ნახაზები – გეგმები, ჭრილები, ფასადები (მ 1:100)
შაბლონები, დეტალები, ფრაგმენტები (მ 1:50; 1:20; 1:10; 1:1)
2. პროექტის კონსტრუქციული ნაწილი;
განმარტებითი ბარათი; სამუშაო ნახაზები; სპეციფიკაციები სამუშაოთა სახეობებისა და გამოსაყენებელი მასალების სახეობების მითითებით;

3. ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა;
4. სარეაბილიტაციო სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი კალენდარული გეგმა-გრაფიკით
5. კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სააღრიცხვო ბარათი
6. კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის პასპორტი
7. ინტერიერში შემორჩენილი მოხატულობის ფრაგმენტების კონსერვაციის პროექტი:
 - კედლის მხატვრობის დაზიანებათა იდენტიფიკაცია;
 - საპროექტი ობიექტის საერთო ხედებისა და დეტალების ამსახველი უახლესი ფოტომასალა, დაზიანებული ელემენტებისა და ფრაგმენტების ფოტოფიქსაცია;
 - მოხატულობის დაზიანებების კვლევის შედეგად გამოვლენილი მდგომარეობის ანალიზზე დაყრდნობით მხატვრობის საკონსერვაციო სამუშაოების მეთოდოლოგიის განსაზღვრა და კონკრეტული ქმედებების არგუმენტირებული ჩამონათვალი დაზიანებათა აღმოფხვრისათვის;
 - ავთენტურ მასალებთან თავსებადი საკონსერვაციო მასალების თანამედროვე საერთაშორისო საკონსერვაციო გამოცდილების შესაბამისად შერჩევა;
 - სახელოვნებთმცოდნეო დასკვნა და რეკომენდაციები ძეგლის მხატვრულ-ისტორიული ღირებულების გათვალისწინებით დასაშვები ჩარევის შესახებ;
 - მოხატულობის საერთო მოცულობის განსაზღვრა;
 - კედლის მხატვრობის არსებული მდგომარეობიდან და დაზიანებებიდან გამომდინარე, მისი გაჯანსაღებისათვის აუცილებელი საკონსერვაციო სამუშაოებისა თუ აქტივობების ჩამონათვალი;
 - მოხატულობის სქემები მასზე დაზიანებათა აღნიშვნისთვის
 - კონსერვაციისათვის საჭირო სამუშაოების და აქტივობის ხარჯთაღრიცხვა

II ეტაპის სამუშაოები												
1	პროექტის არქიტექტურული ნაწილის დამუშავება											
2	პროექტის კონსტრუქციული ნაწილი											
3	ნასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა											
4	სარეაბილიტაციო სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი კალენდარული გეგმა-გრაფიკით											
5	კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სააღრიცხვო ბარათი											
6	კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის პასპორტი											
7	ინტერიერი შემორჩენილი მოხატულობის ფრაგმენტების კონსერვაციის პროექტი											
8	II ეტაპის სამუშაოების ჩაბარება											



პროექტის ხელმძღვანელი

მ. ლაკვიშვილი

6.3.4

საკონკურსო წინადადება:

ქ. თბილისი, ანჩისხატის ეკლესიის
რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო
დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება

საკონკურსო წინადადების ფასი:

30 000 (ოცდაათათასი) ლარი

საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა:

2013 წლის 23 სექტემბრიდან 25 ოქტომბრამდე



ქ. თბილისში ანჩისხატის ეკლესიის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის

ხარჯთაღრიცხვა

№	შესასრულებელი სამუშაოები	ღირებულება
I ეტაპის სამუშაოები		
1	განმარტებითი ბარათი პრობლემების დეტალური აღწერით	500
2	სარეაბილიტაციო ობიექტის სიტუაციური გეგმა	200
3	ტოპოგრაფიული გეგმა	500
4	სისტემატიზირებული ფოტომასალა	200
5	ძეგლის 3D სკანირება	1 500
6	არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომების დამუშავება	2 500
7	საარქივო არქიტექტურულ-არქეოლოგიურ ანაზომების კორექტირება არსებულ ლოკალურ დაზიანებათა დატანით	1 700
8	შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაციები	900
9	მიწის სამუშაოების შესრულების შემთხვევაში არქეოლოგიური მეთვალყურეობა	100
10	საინჟინრო-გეოლოგიური და პიდროგეოლოგიური კვლევა	1 000
11	სახელოვნებათმცოდნეო კვლევა	550
12	ხარაჩოების მოწყობა	500
I ეტაპის სამუშაოების ჯამი		10 150
II ეტაპის სამუშაოები		
1	არქიტექტურული ნაწილის დამუშავება	3 970
2	პროექტის კონსტრუქციული ნაწილი	1 500
3	ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენა	800
4	სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი კალენდარული გრაფიკით	300
5	უძრავი ძეგლის სააღრიცხვო ბარათის შედგენა	200
6	უძრავი ძეგლის პასპორტის შედგენა	200
7	ინტერიერში შემორჩენილი მოხატულობის ფრაგმენტების კონსერვაციის პროექტი	3 920
	- კედლის მხატვრობის დაზიანებათა იდენტიფიკაცია	
	- ფოტოფიქსაცია, სისტემატიზაცია	
	- საკონსერვაციო სამუშაოების მეთოდოლოგიის შერჩევა	
	- ავტენტურ მასალებთან გამოსაყენებელი მასალების თავსევალობის კვლევა	
	- სახელოვნებათმცოდნეო დასკვნა და რეკომენდაციები	
	- მოხატულობის საერთო მოცულობის განსაზღვრა	
	- მოხატულობის საკონსერვაციო სამუშაოების ჩამონათვალი	
	- მოხატულობის სქემები მასზე დაზიანებათა აღნიშვნის შინაშე	
	- კონსერვაციისათვის საჭირო სამუშაოების და აქტივობის ხარჯთაღრიცხვა	
II ეტაპის სამუშაოების ჯამი		10 890
I და II ეტაპების სამუშაოების ჯამი		21 040

საშემოსავლო	20%	4 210 ლარი
ჯამი		25 250 ლარი
ზედნაღები ხარჯები	10%	2 530 ლარი
ჯამი		27 780 ლარი
მოგება	8%	2 220 ლარი

სულ საპროექტო სამუშაოების საერთო ჯამი **30 000 (ოცდაათათასი) ლარი**



აფიდავიტი

საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შექმნილია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებული იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

* უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს საკონკურსო წინადადება;

* ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია საკონკურსო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია კონკურსანტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს კონკურსანტი ან/და წარადგინოს საკონკურსო წინადადება ამ კონკურსში;

* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით კონკურსანტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- საკონკურსო წინადადების ფასი;
- საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი საკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებულ საკონკურსო პირობებს;
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკურიპირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება საკონკურსო წინადადება;

* საკონკურსო წინადადების პირობები კონკურსანტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არგაუმჟღავნებს კონკურენტს საკონკურსო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

✓ გავცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა 

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოდგენს საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერი, კონკურსანტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195¹ მუხლის შესაბამისად.